**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

გიორგი შავრეშიანი

# აშშ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2020

# ანოტაცია

აშშ – თურქეთის პარტნიორული ურთიერთობები რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. ყველაზე მჭიდრო პარტნიორობა მათ შორის ჩამოყალიბდა ცივი ომის პერიოდში, როცა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თურქეთი აშშ–ს საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდ მხარდამჭერად მოიაზრებოდა. ცივი ომის დასრულებამ თურქეთ–აშშ–ს ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც დღესდღეობით აღნიშნული ორი ქვეყნის ურთიერთობა ძველებურად მჭიდრო აღარ არის.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რამ განაპირობა აშშ–სა და თურქეთის დაახლოება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნატოს ეგიდით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში თურქეთი და მოიაზრებიან თუ არა ისევ პარტნიორებად თანამედროვე პერიოდში, მაშინ როცაგარკვეულ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ორი ქვეყნის ინტერესი არ ემთხვევა.

ჰიპოთეზის დასადასტურებლად კვლევაში გამოყენებული იქნება კვლევის თვისობრივი მეთოდოლოგია, ისტორიული აღწერილობითი და მონაცემთა ანალიზის მეთოდი. თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იქნება რეალიზმის თეორია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში ძალაუფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენს.

Annotation

Political relationship between Us and Turkey

The US - Turkey partnership has been around for several decades. The closest partnership between them came during the Cold War, when Turkey was widely regarded as a major supporter of US foreign policy in the Middle East. The end of the Cold War has made some changes in Turkey-US relations, as a result, nowadays the relations between these two countries are no longer close.

The purpose of this paper is to examine the relationship between the US and Turkey in the political and military spheres, to what extent has Turkey played a significant role in NATO-led military operations and whether they are still considered partners in the modern period? While the two countries' interests on certain political issues do not coincide.

Qualitative research methodology will be used in the study to confirm the hypothesis, historical descriptive and data analysis method. The theory of realism will be used as a theoretical framework, according to which international politics is a struggle for power in an anarchic environment.

Giorgi Shavreshiani

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................................................5

თავი I - თურქეთის პირველი, მეორე და მესამე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურიპრიორიტეტები…………………………………………………..……......…9

1.1.ქემალისტური თურქეთის საგარეო პოლიტიკა.............................................................9

1.2.შავი ზღვის სრუტეების საკითხი.........................................................................16

1.3.თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები ახლო აღმოსავლეთში და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია...................................................................21

თავიII - თურქეთ-აშშ-ს აქტიური საგარეო ურთიერთობები............................................27

2.1. თურქეთი ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა.................................................27

2.2. კვიპროსის საკითხი და აშშ-ს პოზიცია........................................................................32

2.3. სპარსეთის ყურის ომები და თურქეთ-აშშ-ს ურტიერთობები...................................39

თავიIII - პრობლემები და გამოწვევები თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში...................46

3.1. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისი და ცვლილებები სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობებში..........................................................................................46

3.2. ქურთები როგორც მთავარი ფაქტორი თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში ბზარის შემტანი……………………………………………………………………………….58

3.3. თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში არსებული პრობლემების გავლენა საქართველოზე………………………………………………………………………..66

დასკვნა........................................................................................................................72

გამოყენებული ლიტერატურა.....................................................................................76

## შესავალი

აშშ -თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოები და სტრატეგიული პარტნიორები არიან. მათ თანამშრომლობას ბოლო პერიოდის განმავლობაში ბზარი გაუჩდა, რაც არგამოსწორების შემთხვევაში გამოიწვევს პოლიტიკური კონიუნქტურის საერთაშორისო პარადიგმების ცვლილებას. თურქეთის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა ეხმარება დასავლეთს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში შეინარჩუნოს გავლენა და არ დაარღვიოს ძალთა ბალანსი თავის საწინააღმდეგოდ.**თემის აქტუალობას** წარმოადგენს ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი რომლის პირობებშიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში გარკვეული უთანხმოებებისგაჩნდა, რამაც თითქოსდა უკმაყოფილების სერიოზული პრობლემა გამოაჩინა, მაგრამ თურქეთისათვის აშშ–ს დ ამავე დროს აშშ–სათვის თურქეთს დიდი მნიშვნელობა აქვს.ახლო აღმოსავლეთში აშშ–სათვის თურქეთი მნიშვნელოვან და ამავე დროს ანგარიშგასაწევ სამხედრო პოლიტიკურ ძალას  წარმოადგენს.ეს ქვეყანა რეგიონში  მის ერთ–ერთი ძლიერი მოკავშირეთაგანია.ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ დაახლოებას თავისი მიზეზები ქონდა (რა თქმა უნდა მიზეზები ორმხრივი იყო). თურქეთის ბოლოდროინდელი შეცვლილი პოლიტიკა, რომელიც თითქოს რუსეთისკენ იხრება, საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს, მსოფლიოში მოსალოდნელი ცვლილებებიდან გამომდინარე, ვითარების ამ მოცემულობით განვითარების შემთხვევაში.

### საკვლევი კითხვები

1.რამ განაპირობა აშშ–თურქეთის დაახლოება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში?

2.რამდენად იყო აშშ–სათვის თურქეთი მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორი ნატოს ეგიდით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში?

3.რამდენადაა შესაძლებელი თურქეთ–აშშ–ს ურთიერთობის სიმყიფის შენარჩუნება?

**ჰიპოთეზა**

აშშ და თურქეთი პარტნიორებად იქცნენ ცივი ომის პერიოდში, რასაც საბჭოთა კავშირის არსებობამ შეუწყო ხელი. სსრკ–ს მხრიდან საფრთხის შესუსტების გამო ნატომ და მასთან ერთად თურქეთმა შემაკავებელი ფუნქცია დაკარგეს. თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი დისტანცირებული აღმოჩნდა ამერიკისგან, რის შედეგადაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შედარებით გაცივდა. მიუხედავად ამის, აღნიშნული ქვეყნები ერთმანეთის სამხედრო და პოლიტიკურ პარტნიორებად დარჩებიან, რაც განპირობებულია უსაფრთხოების საერთო ინტერესებით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

კვლევის საგანი: აშშ-თურქეთის ურთიერთობები

კვლევის ობიექტი: აშშ-თურქეთის ურთიერთობების მოსალოდნელი განვითა

**თემის მიზნები და ამოცანები**

ჩვენი თემის მიზანია შევისწავლოთ თურქეთისა და აშშ–ს დაახლოების რეალური მიზეზები და ის წვლილი, რაც თურქეთმა შეიტანა აშშ–ს პოლიტიკის განმტკიცებაში ახლო აღმოსავლეთში. ჩვენი ამოცანაა ყოველივე ამის შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ გავაკეთოთ ის დასკვნები, თუ რა მომავალი ექნება ამ ორი უმნიშვნელოვანესი პარტნიორის სამომავლო თანამშრომლობას.ამავე დროს ყურადღებას გავამახვილებთ აშშ–თურქეთის ურთიერთობა რამდენად აისახება საქართველოსთან მიმართებაში.რადგანაც ერთიც და მეორეც საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნებია.

ნაშრომისშესრულებისასგამოყენებულიაისეთი**კვლევისმეთოდები,**როგორიცააინდუქციისადადედუქციის, მონაცემთა ანალიზი, პოლიტიკის კვლევის ანალიზიი, ისტორიულიდაშედარებითიანალიზისმეთოდები.

აღნიშნულ ნაშრომში**კვლევის მეთოდოლოგის** წარმოადგენს ,,პოლიტიკური რეალიზმის“ თეორია, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო, ,,ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს, საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.თეორიისმიხედვითრეალისტებისაერთაშორისოურთიერთობებისის ტორიისსხვადასხვაეტაპებისთავისებურებებსგანმარტავენ. ,,ძალთაბალანსის“ თეორიისმიხედვით, იმისგამორომსაერთაშორისოსისტემაანარქიულიაყოველისახელმწიფოთვითგადარჩე ნისთვისდათვითდამკვიდრებისთვისიბრძვის. ძალთაბალანსისკონცეფციამრავალიდეფინიციებითშეიძლებაგანიმარტოს, რომელთაგანწინაპლანზეშეიძელბაშემდეგისამიგამოიყოს.

1. ძალთაბალანსიარისპოლიტიკურისტაბილურობისსაფუძველი, რომელიცეფუძნებაწამყავნისახელმწიფოებისძალაუფლებისგანაწილებისპრინციპს.

2. ინგლისელიისტორიკოსისტოინბისგანმარტებით: ,,ძალთაბალანსიარისპოლიტიკურიდინამიკისსისტემა, რომელიცთამაშშიშედისყველგან, სადაცსაზოგადოებებია (ამშემთხვევაშიიგულისხმებასაერთაშორისო) გამოყოფილირამდენიმედამოუკიდებელლოკალურსახელმწიფოდ“.

3. ,,ძალთაბალანსიწარმოადგენსსახელმწიფოთაშორისურთიერთობებისისეთსახეს, არცერთიმათგანიარარისიმდენადძლიერი, რომსხვებსმოახვიოსთავისიკანონები“. ამგვარადგანმარტავს, ფრანგისაერთაშორისოსამართლისსპეციალისტი, გატელიძალთაბალანსს.

ძალთაბალანსისთეორიაშეისწავლისდაიკვლევსომისპრობლემებსდაძალისფენომენს, როგორცსამხედროპოტენციალისდემონსტრირებისდაგამოყენებისპოლიტიკურასპექ ტებს.

## ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს, საერთაშორისო ურთიერთობების, კონფლიქტოლოგიის ექსპერტებს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

## გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა

1.მეტად საყურადღებოა ჰენრი კისინჯერის წიგნი „დიპლომატიის ისტორია“ სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა, აშშ–ის აღზევებას დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან 1991 წლამდე ანუ აშშ–ის როლს როგორც მეორე მსოფლიო ომამდე ასევე მის შემდგომ პერიოდში.

2. ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“, სადაც ამერიკელი მეცნიერი დიდ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე თუ რა კონკრეტულმა პოლიტიკურმა, გეოპოლიტიკურმა ეკონომიკურმა სამხედრო თუ სხვა ფაქტორებმა გამოიწვია აშშ–ის აღზევება, ასევე როგორ ფართოვდებოდა შეერთებული შტატების ინტერესები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და რა როლი აკისრია აშშ–ის ცივი ომის შემდგომ პერიოდში.

3. რევაზ გაჩეჩილაძის ნაშრომი „ახლო აღმოსავლეთი“რომელმაც დიდი ინფორმაცია მოგვაწოდა ისრაელის წინარე ისტორიაზე და მისი შექმნის პროცესში განვითარებულ მოვლენებზე. მასში ჩვენთვის საინტერესო არაერთი მნიშვნელოვანი საკითხებია გაშუქებული.

# თავი. 1. თურქეთის პირველი, მეორე და მესამე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურიპრიორიტეტები

## 1.1.ქემალისტური თურქეთის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები

ოსმალეთის კაპიტულაციის შემდეგ დღის წესრიგში დადგა თურქეთის დანაწილების გეგმა, შესაბამისად სხვადასხვა რეგიონებში დაიწყო პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა შეექმნათ ეროვნული ბლოკი თურქეთის ერთიანობის დასაცავად.ამავდროულად მათ იმედი ჰქონდათ მოახერხებდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას რომელიც ფუნდამენტალურად დაეფუძნებოდა აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის დეკლარაციის 14 პუნქტს. ამისთვის საჭირო იყო დაწყებულიყო ანტი იმპერიალისტური სახალხო მოძრაობა. ასეთი ორგანიზაციის შექმნა კი მიზნად დაისახა მუსტაფა ქემალ ფაშამ. მუსტაფა ქემალმა დაიწყო თავის გარშემო იმ პირების შემოკრება, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ოკუპანტების საქმიანობით და სულთნის მთავრობის შემრიგებლური პოლიტიკით.

1919 წლის 19 ივნისი ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად, მთავარი ცენტრი კი ანატოლია იყო.1920 წლის 23 აპრილს მან მოიწვია დიდი ეროვნული კრება, მას სურდა გამოეცხადებინა თურქეთის დამოუკიდებლობა და ეღიარებინა ტერიტორიული მთლიანობა, ამასთანავე ჩამოეყალიბებინა რესპუბლიკური წყობილება და შესაბამისად სულთნის მთავრობა კანონგარეშედ გამოეცხადებინა. თუმცა, გამომდინარე იქიდან რომ ეროვნულ კრებაში მყოფი დეპუტატების უმრავლესობა სულთნისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, ამიტომ მის იდეას ბოლომდე ვერ განახორციელებდა, მაგრამ არც ოპოზიციას დაუპირისპირდა, რამეთუ სრულიად ლოგიკური იყო სულთანი საკუთარ მომხრეებთან ერთად არ დამორჩილებოდა დიდი კრების გადაწყვეტილებას და დაწყებულიყო დაპირისპირება და დინასტიური ომი, რაც მის გეგმებში არ შედიოდა

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.[1] მუსტაფა ქემალ ფაშას პრიორიტეტი აღნიშნულ საკითხში იყო, რომ მოემზადებინა ხელსაყრელი ნიადაგი სულთნის ხელისუფლების დამხობისთვის და ამის წინაპირობად მიიჩნევდა სულთნის ავტორიტეტის შელახვას და არა მასთან სამხედრო კონფრონტაციას, რასაც შესამლოა მოცემულ მომენტში მისთვის და ქვეყნისთვის სავალალო შედეგი მოეტანა. შესაბამისად, მუსტაფაქემალი მოითხოვდა,რომ ახალ კანონში არ ყოფილიყო შეტანილი მუხლი სულთან-ხალიფას შესახებ. „ამ საკითხებს გვერდი უნდა ავუაროთ“, - ამბობდა იგი, - „რათა შემდეგ, გვქონდეს მოქმედების თავისუფლება“. ფაქტობრივად თურქეთში ჩამოყალიბდა ორხელისუფლებიანობა: სტამბოლში სულთნის, ხოლო ანკარაში ქემალისტების მთავრობა.[2]

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი „ძირითდი ორგანიზაციების შესახებ“.ფაქტობრივად ეს იყო კონსტიტუცია, რომელიც გულისხმობდა, რომ თურქეთის ეროვნული კრება წარმოადგენს ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას და მისი კუთვნილებაა როგორც აღმასრულებელი ასევე საკანონმდებლო ხელისუფლება. ქემალ ფაშას მოთხოვნის შესაბამისად სულთან-ხალიფას შესახებ არაფერი იყო ნახსენები რაც ფორმალურად გულისხმობდა ამ ინსტიტუციის არსებობის ლეგიტიმაციას, შესაბამისად სულთანი ირიბად ინარჩუნებდა თავის ხელისუფლებას. ადეკვატური შეფასებები მოყვა ოპოზიციონერებისგან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გამოვიდნენ რესპუბლიკური სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ, რადგან მათ შეუძლებლად მიაჩნდათ თურქეთის არსებობა საულთნოსა და სახალიფოს გარეშე,- შესაბამისად მათი პრიორიტეტი იყო სულთან-ხალიფას ხელისუფლების აღდგენა.არსებული მოცემულობის ფონზე მუსტაფა ქემალ ფაშამ გადაწყვიტა გაეუქმებინა სულთნის ხელისუფლება, მაგრამ მას კარგად ახსოვდა, რომ აღნიშნულ ინიციატივას დიდ ეროვნულ კრებაში საკმაო რაოდენობის ოპოზიციონერი ჰყავდა, ამიტომ მას 9 თვიანი

---

[1] გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011. გვ.451-453

[2] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 382-383

დისკუსიის პირობებში მოუწია კომპრომიული წინადადების შეთავაზება . მუსტაფა ქემალს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ ერთდროულად სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმება დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ სულთანმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს დაკარგა ძალაუფლება და ავტორიტეტიც ძალზედ შეერყა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფეოდალურ-კლერიკულ წრეებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, სწორედ აღნიშნული ფაქტორი გახდა საფუძველი მუსტაფა ქემალის მხრიდან შეთავაზებული კომპრომისისა. [3] დათმობაზე წასვლა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სულთნის ხელისუფლება ორად გაეყო და შესაძლებლობის შემთხვევაში ეტაპობრივად გაეუქმებინა და ამით თავიდან აერიდებინა სულთნის თანამოაზრე ოპოზიციონერების გამოსვლები და მათთან დაპირისპირება. ეს იყო მისი კარგად გათვლილი გეგმის შედეგად შეკრული ჯაჭვის ერთერთი რგოლი, რომელიც აუცილებელი იყო საბოლოო წარმატებისთვის და ოპონენტების პოლიოტიკური ლიკვიდაციისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული გეგმის ხორცშესხმისთვის მუსტაფა ქემალი იძულებული გახდა ვრცელი მოხსენება გაეკეთებინა ისლამის, სახალიფოსა და ოსმალეთის ისტორიის შესახებ, რათა უკუეგდო არგუმენტები, რომლებიც არ დაეთანხმნენ მის იდეას სულთნის ხელისუფლების დაყოფის შესახებ.1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე შეტანილი იქნა წინადადება სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების ღალატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევისა და მხოლოდ სასულიერო პრეროგატივის შენარჩუნების შესახებ. ეს წინადადება არ იქნა მიღებული. კლერიკალები ამტკიცებდნენ, რომ საერო ხელისუფლების გამოყოფა სასულიეროსაგან წარმოადგენს რელიგიურ საწყისებზე თავდასხმას, რომ ფადიშაჰის

---

[3]Fortna, Benjamin C. Imperial Classroom: Islam, the state and Educatin in the Late Ottoman Empire. Oxford University Press, 2002 გვ. 33-37

პრეროგატივები წმინდაა და განასახიერებს ამ ქვეყნად ღმერთის ხელისუფლებას.მუსტაფა ქემალ ფაშა არ გამოვიდა ღიად სასულიერო პირების წინააღმდეგ, თუმცა დაარწმუნა მათი მხრიდან დებატების უსაფუძვლობაზე. შედეგად მან მიაღწია სასურველს გეგმის საწყის ნაწილში და ერთხმად მიიღეს კანონი სულთნის საერო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ეს გადაწყვეტილება კი გახდა წინაპირობა იმისა რომ სულთნის მარიონეტულმა მთავრობამ შეწყვიტა არსებობა და მთელი სახელისუფლებო ძალაუფლება სტამბოლში ეროვნული კრების ხელში გადავიდა. ამჯერად უკვე მუსტაფა ქემალ ფაშას წინაშე ახალი გამოწვევა იყო, რესპუბლიკის გამოცხადება. თუმცა მუსტაფა ქემალის თანამოაზრეებშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ნახევრად თეოკრატიული რეჟიმის სრულ გაუქმებაში. აქედან გამომდინარე მან გადაწყვიტა იდეური თანხვედრის მისაღწევად და სრული კონსოლიდაციისთვის, დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და ჩაეტარებინა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რითაც არსებულ წინააღმდეგობებს საბოლოოდ დაძლევდა.1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ქემალისტებმა მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება. 23 აგვისტოს გაიხსნა მეორე მოწვევის თურქეთისდიდიეროვნული კრება. სადაც მუსტაფა ქემალი აირჩიესმის თავჯდომარედ. 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება თურქეთი გამოცხადებულიყო რესპუბლიკად. მიზანი თითქმის საბოლოოდ იქნა მიღწეული, ყველა ბერკეტი მუსტაფა ქემალის ხელში იყო მოქცეული, ერთადერთი რაც ძველი ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელ გადმონაშთად რჩებოდა იყო სახალიფოს გაუქმება.მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებითაც წარმოიშვა დისკუსია ეროვნული კრების მემარჯვენე ფრთის მხრიდან, რასაც ამტკიცებდნენ იმით, რომ სახალიფოს გაუქმების შემთხვევაში თურქეთი დაკარგავდა ისლამურ ქვეყნებს შორის წამყვან სახელმწიფოს სტატუსს, რაც თავისათავად განაპირობებდა საერთაშორისო ავტორიტეტის საგრძნობ დაცემას. თუმცა მუსტაფა ქემალი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით ცდილობდა საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ უფრო გაზრდას და მხარდაჭერის

მოპოვებას, შესაბამისად 1924 წლის 15 თებერვალს მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება სახალიფოს გაუქმების შესახებ. შედეგად უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ-მეჯიდმა თურქეთი დატოვა.ამასთანავექვეყნიდან გააძევეს ოსმალეთის დინასტიის ყველა წევრი და მოახდინეს მათი ქონების ექსპროპრიაცია.

საბოლოოდ გაუქმდა ოსმალეთის სულთნის როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება და თურქეთში რესპუბლიკური წყობილება ჩამოყალიბდა, დაიწყო ახალი ეტაპი თურქეთის ისტორიაში. თურქეთის სულთნის ხელისუფლების გაუქმებისა და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ,ქემალისტები შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას, პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას, ეკონომიკის განვითარებას, ხალხის მასების კულტურული და ყოფა-ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მაგრამ, რეფორმების გატარებას ყველა არ უჭერდა მხარს. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლაქემალისტებსა და რეფორმების მოწყინააღმდეგეებს შორის. [4] ხალიფათის გაუქმების შემდეგ, პოლიტიკური წყობილების განმტკიცების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო პარლამენტის მიერ 1924 წლის 20 აპრილის თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციით თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგიად ოფოციალურად გამოცხადდა ისლამი. მუსტაფა ქემალს განზრახული ჰქონდა ისლამი გამოეყო სახელმწიფოსგან, მაგრამ დეპუტატებმა მას მხარი არ დაუჭირეს, ამის განხორციელება მან შეძლო 1928 წელს. მუსტაფა ქემალმა გაატარა რეფორმები. 1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად დაარსდა კულტურის სამინისტრო. მის ხელთ გადავიდა მეჩეთებისა და თექეებისხელმძღვანელობა. მას ჰქონდა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა იმამები, შეიხები და სხვა სასულიერო პირები. დაეწყო სამზადისი ევროპული ტიპის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის. საწყის ეტაპზე, საზოგადოებისდეისლამიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო

[4] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ.200-204

ევროპული ტანსაცმლის იძულებით შემოღება. 1925 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ფესკების აკრძალვისა და აუცილებლად ევროპული ქუდების ტარების შესახებ. აიკრძალა ოსმალებისათვის დამახასიათებელი ქუდების, ფაფახებისა და ფესკების ტარება და მათ ნაცვლად უნდა დაეხურათ ევროპული ქუდები. სახელმწიფო მოხელეები ვალდებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში ყოფილიყვნენ ევროპულად ჩაცმული, ერთმანეთს მისალმებოდნენ ევროპული წესით და სხვა. დადგენილება აგრეთვე უკრძალავდა სასულიერო ტანსაცმლის ტარებას იმ პირებს, რომლებიც აღარ იყვნენოფიცილაურად კულტის მსახურნი. მთელ თურქეთში დაიწყეს ევროპული ტანსაცმლისა და ქუდების ტარება. საჯაროდ წვავდნენ ფესკებსა და აღმოსავლურ თავსაბურავებს, ქალაქების მოედნებზე ამ მიზნებისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილი. მუსტაფა ქემალი ქვეყნის რაიონში მოგზაურობის დროს ევროპულად იყო ჩაცმული და ამით სხვებს აძლევდა მაგალითს.[5] 1925 წლის 26 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ევროპული წელთაღრიცხვის შემოღების შესახებ. დასვენების დღე პარასკევიდან გადაიტანეს კვირაზე. მეტად მნიშვნელოვანი იყო 1926 წლის ახალი სამოქალქო კოდექსის მიღება. სამოქალაქო კოდექსის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთში შუა საუკუნოებრივინორმების ლიკვიდაციის საქმეში. აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ევროპულ ყაიდაზე შედგენილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური კოდექსი. გაუქმდა ადრე არსებული მუსლიმური სამართლის ნორმები. კერძოდ, აიკრძალა მუსლიმური წესით დაშვებული მრავალცოლიანობა, რელიგიური ქორწინების ნაცვლად დაწესდა სამოქალქო ქორწინება.[6] 1928 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ

---

[5] ი. დათუნაიშვილი, ქემალიზმის ეთათისტური პრინციპები და თურქეთის ეკონომიკური განვითარების საკითხები, კრებული. ,,მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1976 გვ. 38-39

[6] Kili Suna. Kemalism in Contemporery Turkey. IPSR, 1980, Vol. 1, N. 3, Political Ideology: It is Impact on Contemporery Political Transformations, გვ. 381-404

კონსტიტუციიდან ამოიღო ფრაზა: „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია“. ამგვარად, რელიგია საბოლოოდ გამოეყო სახელმწიფოს. ამ ფაქტს უძველესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თურქეთი დღემდე ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფოა, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან არ ნიშნავდა იმას, რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა ცდილობდა რელიგიის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ყურანი არაბულიდან ითარგმნა თურქულ ენაზე, მინარეთებიდან ისმოდა მოეძინის მოწოდება არა „წინასწარმეტყველის“ ენაზე, არამედ ჩვეულებრივ თურქულზე.1928 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზედაც არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით.[7]

ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თურქეთშიც ქალი ყოველგვარ უფლებებს მოკლებული იყო. თურქეთში ქალთა ემანსიპაციას სათავე მუსტაფა ქემალმა დაუდო.მუსტაფა ქემალი დიდად აფასებდა იმ წვლილს, რომელიც ქალებმა შეიტანეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხელს უწყობდა მათი უფლებების გათანაბრებას მამაკაცებთან.

1926 წელს გამოცემული კანონის შესაბამისად ქალებმა უპრეცენდენტო ნიშნულს მიაღწიეს მათი უფლებების ემანსიპაციის საფეხურზე. მათ შორის იყო საარჩევნო ხმის შესაძლებლობა. 1930-1934 წლებში კონსტიტუციაში მოახდინეს შესწორება, რის შესაბამისადც ქალებს ენიჭებოდათ უფლება 1933 წლიდან მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ არჩევნებში. ერთი წლის შემდეგ ეს უფლება გავრცელდა მეჯლისის არჩევნებზეც.ამრიგად ქალებმა მიიღეს მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობის უფლება ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, „ქემალისტები აღმოჩნდნენ ევროპელებზე პროგრესულები ქალებისათვის უფლებების მინიჭების საქმეში“. 1935 წლის არცევნების დროს თურქეთის დიდ

[7] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 2011-2014

ეროვნულ კრებაზე აირჩიეს 18 დეპუტატი ქალი. ქემალისტებმა მოახდინეს გადატრიალება თურქეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს რადიკალური გარდაქმნები შეიძლება შეფასდეს, როგორც კულტურული რევოლუცია.[8]

## 1.2. შავი ზღვის სრუტეების საკითხი

ძალზედ პრობლემატური იყო შავი ზღვის სრუტეების სტატუსის განხილვა.ლოზანის კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა სამი პროექტი: ინგლისის, თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის.კონფერენციის დაწყებამდე 1922 წლის 24 სექტემბერს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ნოტით მიმართა საფრანგეთის პრემიერ -მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრ პუანკარეს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს და იტალიის იუგოსლავიის საბერძნეთის, ბულგარეთის ეგვიპტისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომ რუსეთის გარეშე არ უნდა გადაწყდეს სრუტეების საკითხი რადგან ის არ იქნება საბოლოო და ხანგრძლივი გამომდინარე იქიდან რომ ის შექმნის ნიადაგს ახალი კონფლიქტისათვის. ვ.ი. ლენინმა ისაუბრა ამ საკითხზე ინგლისურ პრესასთან, კერძოდ, "ობსერვერ" - ისა და " მანჩესტერ გარდიენ" - ის ჟურნალისტთან ფარბმანთან.[9] ლენინის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში იყო შემდეგი: არ დაკნინებულიყო თურქეთის ეროვნული მისწრაფებები ლეგიტიმური რეალობის ფონზე და ამავდროულად სრუტეები უნდა დახურულიყო სამხედრო გემებისათვის და აკვატორიის გამოყენება ყოფილიყო მხოლოდ მშვიდობიანად, რათა

[8]Armstrong, H. C. Grey Wolf, Mustafa Kemal. An Intimate Study of a Dictator. London, 1935 გვ. 111-112

[9]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ.412

დაკმაყოფილებული ყოფილიყო ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო ინტერესი. 1922 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მეთაურმა ჩიჩერინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა ხელისუფლების პოზიცია სრუტეების საკითხთან მიმართებაში. მათი აზრით სრუტეები უნდა ყოფილიყო დახურული ყველა სამხედრო გემებისათვის ომისა და მშვიდობიანობის დროს, ხოლო სტაბილური ვითარების პირობებში  სრუტეების ზონა უნდა ყოფილიყო ნეიტრალური და აღნიშულ არეალში ყველა სამხედრო ნაგებობა უნდა დანგრეულიყო. სამხედრო აგრესიის შემთხვევაში თურქეთს უნარჩუნდებოდა უფლება შეეიარაღებინა და გაემაგრებინა სრუტეები. სრუტეებზე ნაოსნობის რეგულირების მიზნით კი აუცილებელი იყო შექმნილიყო საერთაშორისო კომისია, რომლის თავჯდომარეც თურქეთის წარმომადგენელი იქნებოდა.[10] საბჭოთა რუსეთის ინტერესები წარმოადგენდა რათქმაუნდა თურქეთის სახით მოკავშირის მოძებნას.მუსტაფა ქემალის მისწრაფებები რიგ საკითხებში ემთხვეოდა საბჭოთა სოციალისტური პროლეტარიატის მისწრაფებას.ლენინი დარწმუნებული იყო რომ მუსტაფა ქემალის პოლიტიკური პოზიცია დაემთხვეოდა საბჭოეთის პოზიციას. რუსეთისათვის მნიშვნელოვანი იყო,  რომ სამხედრო ძალები არყოფილიყო განლაგებული სრუტეებზე, რათა უზრუნველყოფილიყო საბჭოთა რუსეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში. ასევე რუსეთს ჰქონდა გეგმა სრულად გაემყარებინა პოზიციები კავკასიის რეგიონში და თურქეთთან მოეგვარებინა ტერიტორიული პრობლემები, რაც მათი ურთიერთობების ჰარმონიზაციას განაპირობებდა და რენტაბელური ტაქტიკური ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო დონეზე საკუთარი მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. ლენინს ეშინოდა,  რომ თურქეთი არ მოქცეულიყო ანტანტის კოალიციის გავლენის ქვეშ, რაც შესაძლებელი იყო, რადგან ინგლისი პირდებოდა თურქეთს რომ გადახედავდა 1920 წლის  სერვის ხელშეკრულების პირობებს თურქეთის სასარგებლოდ, რითაც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევდა ახალ თურქეთს და მისი, ასევე ქართული განმანთავისუფლებელი არმიის დახმარებით დაასამარებდა

[10]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007  გვ. 413

რუსეთის ჰეგემონობას სამხრეთ კავკასიაში, რაც დადასტურდა 1921 წლის ლონდონის კონფერენციაში, სადაც ინგლისელები შეხვდნენ მუსტაფა ქემალის წარმომადგენელს- ბექირ სამი ბეის და განიხილეს აღნიშნული საკითხი. ამიტომ რუსეთის ამოცანა იყო ქემალისტურ თურქეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება.

სრულიად საპირისპირო პოზიცია ჰქონდა ინგლისს. მათი პროექტის მიხედვით სრუტეებზე ნაოსნობა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემისათვის სამშვიდობო თუ საომარი მოქმედებების პირობებში, თუმცა უნდა მომხდარიყო ტერიტორიის დემილიტარიზაცია ანუ არცერთი ქვეყნის სამხედრო დანაყოფები არუნდა მდგარიყვნენ შავი ზღვის აკვატორიის არეალში. ბრიტანეთი ასევე მოითხოვდა სტამბოლის გარნიზონის შემცირებას ათი ათას ჯარისკაცამდე და სრუტეები უნდა ყოფილიყო თავისუფალი ნებისმიერი სავაჭრო გემისათვის. ბრიტანეთის მიდგომა სრუტეებით სარგებლობა შესაძლებელი ყოფილიყო საომარი მოქმედებების პირობებშიც, გამომდინარეობდა საბჭოთა ექსპანსიის შეჩერების მიზნით, რომელიც შესაძლებელი იყო გავრცელებულიყო არამარტო შავიზღვისპირა ქვეყნების, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის პროექტი არ იყო მისაღები თურქეთისათვის, მას მხარი მაინც დაუჭირა საფრანგეთმა, იაპონიამ, იტალიამ და სხვა ქვეყნებმა.[11]

ინგლისის სურვილი იყო ირიბად გაეკონტროლებინა შავი ზღვის სრუტეების აკვატორია, რათა ბრიტანეთს ჰქონოდა თავისუფალი ხელმისაწვდომობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან, რომლებსაც გააჩნდათ ბუნებრივი რეურსები და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია. შავი ზღვის სრუტეები კი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის წერტილები, რომლი გამოყენებაც შესაძლებელი იყო რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისი ამით ბარიერს უქმნიდა საბჭოთა რუსეთს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო თვალსაზრისით, ხოლო საზღვაო სამხედრო ძალების

---

[11]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 413

თავისუფალი გადაადგილება სრუტეების გარშემო , უზრუნველყოფდა ინგლისის სტრატეგიული ინტერესების უსაფრთხოებას.

თურქეთის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. თურქეთმა ოსმალეთის დაშლის შემდგომ მიიღო მძიმე მემკვიდრეობა. 1920 წლის სერვის ხელშეკრულების შემდგომ მას დარჩა ცენტრალური ანატოლია. ქემალისტები მიისწრაფოდნენ თავი დაეღწიათ ამ მძიმე მდგომარეობიდან, დაებრუნებინათ ძველი ავტორიტეტი და აღედგინათ ტერიტორიული მთლიანობა. ამიტომ თურქეთის დელეგაცია იძულებული იყო დათმობებზე წასულიყო შავი ზღვის სრუტეების საკითხში. თურქეთის პროექტი ითვალისწინებადა ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემებისათვის თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას, თუმცა სტამბოლსა და სრუტეებზე უნდა ყოფილიყო დაცული თურქეთის სუვერენიტეტი.

თურქეთის მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, რომელიც იყო არამარტო პოლიტიკური სახის, არამედ იყო ფინანსურ-ეკონომიკური, იძულებული გახდა ფინანსური შეღავათის სანაცვლოდ დათანხმებოდა ინგლისის პროექტს.

მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა რომ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე მართველობა კონვენციის თანახმად გადაცემულიყო " სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს ", რაც იმას აღნიშნავდა რომ სრუტეები ანტანტის კონტროლის ქვეშ გადავიდა. კონვენციის თანახმად უცხოურ სამხედრო გემებს ნებისმიერი ტონაჟით და ნებისმიერ დროს თურქეთის მთავრობისთვის გაფრთხილების გარეშე, შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. ამავდროულად უნდა მომხდარიყო სრუტეების აკვატორიის ზონის თურქეთის ჯარებისაგან სრული დემილიტარიზაცია და სიმაგრეების აგების აკრძალვა.[12] კონვენციის აღნიშნული პუნქტები იყო მიმართული თურქეთის სუვერენიტეტის საწინააღმდეგოდ, ასევე საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ, ამიტომ რუსეთმა არ მოახდინა შავი ზღვის სრუტეების კონვენციის რატიფიცირება.

---

[12] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 413

მიუხედავად იმისა, რომ ლოზანის კონფერენციაზე სრუტეების განხილვის საკითხში ანტანტის სახელმწიფოებს შორის გარკვეული იდეური სხვადასხვაობა არსებობდა, ისინი შეთანხმდნენ ერთობლივი მოქმედების პრინციპზე, რამეთუ მათ წინაშე არსებობდა გამოწვევა, ის რასაც ვერ მიაღწიეს ომის შედეგად, უნდა მოეხერხებინათ დიპლომატიური გზით. შესაბამისად ცდილობდნენ ყველა ბერკეტი გამოეყენებინათ, თურქეთი იძულებული გამხდარიყო მათი თამაშის წესებით ეხელმძღვანელა.

როგორც ზემოთ ავღნიშნე თურქეთის მძიმე რეალობა კარნახობდა მის მევეურებს შედარებით რბილ და შემგუებლობითი გადაწყვეტილების მიღებას. ფაქტობრივად ლოზანის კონფერენცია უნდა გამხდარიყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის დასკვნითი და შემაჯამებელი ეტაპი. ეს უნდა ყოფილიყო მომწესრიგებელი თურქეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების, ოფიციალურად უნდა დადგენილიყო ქვეყნის დემარკაცია-დემილიტაციის საკითხი, როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ტერიტორიაზე და ამასთანავე მომხდარიყო თურქეთის დამოუკიდებლობის აღიარება კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების მხრიდან, ესენი იყვნენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, იაპონია, იუგოსლავია, რუმინეთი და ასევე აშშ-ს მხრიდან წარდგენილი იყო მეთვალყურე. იმის გამო, რომ ანტანტის სახელმწიფოები ცდილობდნენ საკუთარი ინტერესები გაეტარებინათ და თურქეთი ზეწოლის ქვეშ მოექციათ, კონფერენციაზე არ მიიწვიეს რუსეთი, რომელიც არმონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ომში, შესაბამისად დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ რუსეთის მიწვევის შემთხვევაში, თურქეთის პოზიციას დაიცავდა, რაც მათ გეგმებში არშედიოდა.

## 1.3. თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები ახლო აღმოსავლეთში და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია.

თურქეთს ახლო აღმოსავლეთში მთავარი პრეტენზია ჰქონდა მოსულის რეგიონზე (თანამედროვე ჩრდილოეთ ერაყი), რომელიც აქტუალურ ფაზაში იყო 1918 წლიდან 1926 წლამდე. საიქს-პიკოს 1916 წლის ხელშეკრულების თანახმად ეს ტერიტორია უნდა გადაცემოდა საფრანგეთს, თუმცა 1919 წელს ბრიტანეთმა აიღო ეს ტერიტორია სირიაზე საფრანგეთის მანდატის აღიარების ნაცვლად, ზოგიერთი წყაროებით კილიკიის ფრანგებისთვის გადაცემა ამ ფაქტს უკავშირდება. ეს ყველაფერი დადასტურდა 1920 წლის 23 დეკემბრის სან-რემოს კონფერენციაზე. 1920 წლის სევრის ხელშეკრულების მიხედვით, სადაც ოსმალეთის დაყოფა მოხდა, მოსულის რეგიონი გადაეცა ბრიტანეთს. ეს ფაქტი არცნო მუსტა ქემალ ფაშას მთავრობამ. მოსულის რეგიონზე თურქეთის პოზიციების არდათმობის მთავარი მიზეზი იყო ნავთობის რესურსები და ქურთისტანის გასაკონტროლებლად სტრატეგიული გზები. ლოზანის კონფერენციის თანახმად ამ ტერიტორიის გაყოფა უნდა მომხდარიყო თურქეთსა და ბრიტანეთს შორის 9 თვის განმავლობაში. შემდგომ მხარეებს შორის შეუთანხმებლობიდან გამომდინარე, რამეთუ არცერთი მხარე თმობდა საკუთარ პოზიციებს რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდგომ ეს საკითხი გადაეცა ერთა ლიგას. თუმცა ერთა ლიგამ 1925 წელს მიიღო გადაწყვეტილება რომ ინგლისსა და ერაყს გაეგრძელებინა ინგლისური მანდატი 25 წლის მანძილზე. საბოლოოდ 1926 5 ივნისს გადაწყდა, რომ ქემალისტური თურქეთი 20 წლის მანძილზე მიიღებდა მოსულის ნავთობის შემოსავლიდან 10 პროცენტს და სხვა ტერიტორიული პრეტენზიები საბოლოოდ დაკარგა აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირებით.

1918 წელს მუდროსის ხელშეკრულებით ინგლისელებმა მოახდინეს ალექსანდრეტას რეგიონის ოკუპაცია. შემდგომში ინგლისმა ეს რაიონი და კილიკიის რეგიონი( იგივე ჩუქუროვა), გადასცა საფრანგეთს. 1921 წელს კილიკია უკან დაუბრუნდა თურქეთს, ხოლო საფრანგეთმა დაიტოვა ალექსანდრეტას სანჯაყი (იგივე ჰათაი). ვალდებულების თანახმად სანჯაყში დაწესდა სპეციალური ადმინისტრაციული რეჟიმი, სადაც საფრანგეთი, რეგიონის ოფიციალურ ენად ცნობდა თურქულ ენას,

ოფიციალურად ნიშნავდა თურქ მოხელეებს და ჰქონდა თურქული დროშის მსგავსი სიმბოლიკა.1926 წლის საფრანგეთ თურქეთის ხელშეკრულებამ კი საბოლოოდ დაადასტურა 1921 წლისა და 1923 წლის მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ის მუხლები რომელიც ამ საკითხის ირგვლივ გადაწყვიტეს. აღნიშნული ხელშეკრულება პირვანდელ პოზიციას ინარჩუნებდა 1936 წლამდე სანამ ალექსანდრია სანჯაყის პრობლემა კვლავ აქტუალურ ფაზაში შევიდა.[13]

1936 წლის 9 სექტემბერს საფრანგეთსა და სირიას შორის განხორციელდა მათ შორის დადებული 1918 წლის ხელშეკრულების გადასინჯვა, მისიგათვალისწინებითრამდენიმე წლის შემდეგ საფრანგეთის მანდატი სირიაზე უნდა გაუქმებულიყო და შესაბამისად სირია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო და ამის შემდგომ გამხდარიყო ერთა ლიგის წევრი სახელმწიფო. თითქმის იდენტური ხელშეკრულება გაფორმდა საფრანგეთ- ლიბანს შორის, რომელიც სირიის მსგავსად ლიბანის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. საფრანგეთ- სირიის ხელშეკრულებით ალექსანდრეტას სანჯაყი მოექცა სირიის სუვერენიტეტის ფარგლებში იმ პირობით რომ ის აიღებდა პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების შესრულებაზე რაც 1926 წლის საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულებით საფრანგეთს ეკისრებოდა.[14]

საფრანგეთ- სიირიის ხელშეკრულებამ ლოგიკური უარყოფითი დამოკიდებულება წარმოშვა თურქეთის ხელისუფლებასა და პრესაში საფრანგეთის მიმართ, რამეთუ აღნიშნულმა ხელშეკრულებამ განაპირობა ალექსანდრეტას სანჯაყის სირიის იურისდიქციაში მოქცევა, ხოლო თურქეთის პოზიცია გახლდათ, რომ ალექსანდრეტას სანჯაყი, სირიისა და ლიბანის მსგავსად საფრანგეთსეღიარებინა სუვერენულ სახელმწიფოდ და მასთანაც გაეფორმებინა ანალოგიური ხელშეკრულება.თურქეთსა და საფრანგეთს შორისარსებული უთანხმოების პირობებში1936 წლის ოქტომბერში მათ შორის დაიწყო ოფიციალური

---

[13]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 458
[14]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 458-459

მოლაპარაკებები, სადაც თურქეთმა საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შემდეგი არგუმენტები წამოაყენა: 1. 1921 წლის ხელშეკრულება თურქეთმა დადო არა სირიასთან, რომელიც ამ დროს არ იყო სუვერენული სახელმწიფო, არამედ საფრანგეთთან და ამასთანავე სანჯაყი დაუთმო არა უპირობოდ, არამედ გარკვეული ვალდებულებების შესრულების პირობით, თურქული მხარის ინტერესების გათვალისწინებით; 2. თუ საფრანგეთი უარს ამბობს არსებულ ხელშეკრულებაზე, შესაბამისად რეგიონის სუვერენიტეტი უნდა უზრუნველყოს ალექსანდრეტას სანჯაყის მოსახლეობას; 3. საფრანგეთს არ აქვს  უფლება, რომ თურქეთთან შეთანხმების გარეშე გადასცეს აღნიშნული ტერიტორია მესამე მხარეს; 4. საფრანგეთმა დაარღვია 1921 და 1926 წლის ხელშეკრულებები, რომლითაც დადგენილი იყო თურქეთ-სირიის საზღვრები.[15]

საფრანგეთმა საპასუხოდ განაცხადა, რომ შეუძლებელია მან სცნოს ალექსანდრეტას სანჯაყის დამოუკიდებლობა და ეს პოზიცია დაასაბუთა შემდეგი არგუმენტებით: 1. 1921 წლის ხელშეკრულების მიხედვით საფრანგეთს გააჩნდა მანდატი, რომელიც სირიის ინტერესების განხორციელებას განაპირობებდა; 2. ერთა ლიგისგან მიიღო მანდატი იმ პირობით, რომ უზრუნველყოფდა მხოლოდ ორი სახელმწიფოს, სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობას, ხოლო ალექსანდრეტას სანჯაყის სუვერენიტეტის ცნობა მისი მხრიდან ჩაითვლებოდა არსებული მანდატის დარღვევად; 3. 1921 წლის ხელშეკრულება არ გულისხმობდა ალექსანდრეტას სანჯაყისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას, არამედ იგი ითვალისწინებდა სანჯაყისთვის ავტონომიური ადმინისტრაციის რეჟიმს, არსებული სტატუსი კი შეუნარჩუნდებოდა სირიის იურისდიქციის ქვეშაც.[16]

თურქეთის ინტერესი კი იყო მიეღწიათ ალექსანდრეტას სანჯაყის დამოუკიდებლობისთვის რომ შემდგომ მოეხდინათ მისი ანექსია.

---

[15]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007  გვ. 459
[16]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007  გვ.459

საფრანგეთის ინტერესში არ შედიოდა თურქეთთან სამხედრო კომფორტაცია პირიქით ცდილობდა შეენარჩუნებინა დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობა რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ურთიერთობები გამწვავებულიყო არაბულ სახელმწიფოებთან.

მოცემულ ვითარებაში საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ''მესამე სახელმწიფოები'' ცდილობდნენ დაპირისპირებული მხარეების წაქეზებას და დაპირისპირებაში კომპრომისზე არ წასვლას. ინგლისი ცდილობდა დაერწმუნებინა საფრანგეთი თურქების არგუმენტების არაეფექტურობაში ხოლო გერმანია და იტალია არწმუნებდნენ თურქებს უფრო გაბედულ და ენერგიულ მოქმედებაში. მდგომარეობის გაუარესებას ხელი შეუწყო თვით სანჯაყში არსებული მღელვარებებით. [17] რეგიონის თურქული მოსახლეობა უარს აცხადებდა სირიის პარლამენტში მონაწილეობაზე რასაც მოყვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაპირისპირება და შეტაკებები რამაც გამოიწვია მსხვერპლი. ვითარების დეესკალაციისათვის თურქეთის და საფრანგეთის მთავრობები შეთანხმდნენ საკითხი ერთა ლიგაში განეხილათ. 1936 წლის დეკემბერში ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებით სადამკვირებლო მისიით გაგზავნეს ნეიტრალური ზედამხედველები და ურჩიეს ამ ორი ქვეყნის მთავრობებს გაეგრძელებინათ მშვიდობიანი მოლაპარაკებები შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით. თუმცა თურქულ პრესაში გრძელდებოდა საფრანგეთის კრიტიკა და თურქული გაზეთები იმუქრებოდნენ თურქეთის მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში ერთა ლიგას დატოვებდნენ. [18]

1937 წლის იანვარში დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთ-საფრანგეთს შორის თუმცა ეს მოლაპარაკებები მალევე შეწყდა, რადგან თურქეთში მდგომარეობა კრიტიკულად დაიძაბა. პრეზიდენტ ათათურქმა მოიწვია გენერალური შტაბი სხდომა და გადაწყდა სირიის საზღვართან თურქული ჯარების მობილიზება რომლებიც

[17]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 459
[18]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 459-460

უზრუნველყოფდნენ სანჯაყის თურქული მოსახლეობის დახმარებას. 1937 წლის იანვრის ბოლოს კვლავ განახლდა მოლაპარაკებები ერთა ლიგის ფორმატში სადაც მიღწეულ იქნა კომპრომისულ შეთანხმებას რის მიხედვითაც ალექსანდრეტას სანჯაყი დაკავშირებული იქნებოდა სირიიასთან საგარეო პოლიტიკის, ფულის სისტემისა და საბაჟო საკითხებში, ხოლო შიდა საქმეების სტაბილურობას ერთა ლიგა განსაზღვრავდა. აუცილებელი იყო სანჯაყის დემილიტარიზაცია და თურქებსა და ფრანგებს საერთო ძალისხმევით უნდა მოეხდინათ ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ერთა ლიგის საბჭო დაამტკიცებდა სანჯაყის სტატუსსა და კონსტიტუციას, ხოლო თურქებს ენიჭებოდათ სპეციალური პრივილეგიები ალექსანდრეტას ნავსადგურით სარგებლობის დროს.[19]

1938 წელს კომფლიქტი კვლავ ახალ სტატიაში შევიდა. გამომდინარე იქიდან რომ ალექსანდრეტას სანჯაყის პარლამენტში თურქებმა ვერ მოიპოვეს საპარლამენტო უმრავლესობა, ადანაშაულებდა საფრანგეთის ხელისუფლებას და ადასტურებდა რომ რეგიონის თურქი მოსახლეობა განიცდიდა ზეწოლასა და შევიწროვებას ფრანგების მხრიდან, რომ მათ უარი ეთქვათ თურქულ ეროვნებაზე და სხვადასხვა თურქულ ინტერესების გატარებაზე. ფრანგები კი თურქებს ადანაშაულებდნენ მდგომარეობის შეგნებულად გამწვავების მცდელობაზე და რომ ისინი თავს ესხმოდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ვითარება თითქმის სამოქალაქო ომში გადაიზარდა მას შემდეგ რაც გააქტიურდნენ არაბული სახელმწიფოები რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სანჯაყის სირიიდან ჩამოცილების გამო.

საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა კვლავ კომპრომისზე წასვლა თურქეთთან მიმართებაში რადგან თურქეთის ინტერესების არ გათვალისწინების შემთხვევაში გარდაუვალი იყო რომ ხმელთაშუა ზღვაზე ომის შემთხვევაში საფრანგეთი თურქეთის მხარდაჭერას დაკარგავდა. აქედან გამომდინარე უმჯობესი იყო სანჯაყზე უფლებები კვლავ თურქეთს გადასცემოდა. ამ აზრს ემხრობოდა ინგლისიც და

---

[19]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 460

საფრანგეთთან კონსესუსის შედეგად თუ სანჯაყი გადაეცემოდა თურქეთს, ის გახდებოდა ინგლის-საფრანგეთის მოკავშირე და გაცილებით უფრო მეტად დამოკიდებული გახდებოდა ამ ორ ქვეყანაზე. 1938 წლის 3 ივლისს საფრანგეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რომლის მიხედვითაც ალექსანდრეტას სანჯაყში თურქეთს შეეძლო 2500 ჯარისკაცის შეყვანა. ამავე წლის 4 ივლისს კი პარაფირებულ იქნა საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრუელბა მეგობრობის შესახებ : ორივე სახელმწიფო ვალდებული იყო უარი ეთქვათ ისეთ პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კომბინაციებზე რომელიც მიმართული იქნებოდა ამ ორი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ, ამავდროულად არ უნდა აღმოეჩინათ დახმარება მესამე მხარის თავდასხმის შემთხვევაში ერთ-ერთ ხელმომწერ მხარეზე და ეკისრებოდათ ვალდებულება კონსულტაციები გაეწიათ ერთმანეთისთვის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დესტაბილიზაციის შემთხვევაში.[20]

საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ თურქეთმა ალექსანდრეტას სანჯაყში შეიყვანა საკუთარი ჯარი. შემდეგ ჩატარდა ახალი არჩევნები რომელშიც თურქეთის სრული გამარჯვება განაპირობა სანჯაყში თურქული ჯარების ყოფნამ. შედეგად პრეზიდენტად აირჩიეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატი და მთავრობის შემადგენლობაც მხოლოდ თურქებით დაკომპლექტდა. ამ დროიდან სანჯაყი ფაქტობრივად თურქული გახდა.თურქეთის სწრაფვა მოეხდინათ რეგიონის ანექსია ერთი წლის შემდეგ განახორციელეს. საფრანგეთი-ინგლისის მიზანი იყო თურქეთი შეერთებოდა საფრანგეთი-ინგლისის კავშირს და შესაბამისად თურქეთის ქმედებას ლეგიტიმაცია მიანიჭეს და შეთანხმდნენ რომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში შესაძლო ომის შემთხვევაში ითანამშრომლებდნენ და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ ერთმანეთს.[21]

## II თავი.თურქეთ-აშშ-ს აქტიური საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები

---

[20]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 460-461

[21]მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 461

## 2.1 . თურქეთი ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა

უშუალოდ თემის ძირითად საკითხზე გადასვლამდე, შევეცდებით მაქსიმალურად მოკლედ მიმოვიხილოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსების ისტორია. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს-1945 წელს მსოფლიოს ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა სამყაროს და მრავალი ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს მთავარი სამი მოკავშირის (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს) გამარჯვებამ, შექმნა ისეთი ლანდშაფტი და პოლიტიკური მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება უკვე რეალურ შესაძლებლობად იქცა.თუმცა, სამწუხაროდ ეს მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. დასავლეთ ევროპელი ლიდერები და მათი მოკავშირეები რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან გამომდინარე მომავალ საფრთხეებს, ვინაიდან გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება, არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. სწორედ ამ დროს, დასავლეთ ევროპის წამყვანმასახელმწიფოებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები, სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ნაბიჯის გადადგმას და ევროპის კონტინენტზე შეიარაღებული სამხედრო დანაყოფების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

საბჭოთა კავშირის მმართველს და მისუპირობო ლიდერს- სტალინს სურდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება უპირველეს ყოვლისა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ კი- საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრების ტენდენცია თვალშისაცემი იყო. მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის 5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა

(რომელიც დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა) გაამახვილა ყურადღება და პირველად გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“. სწორედ ამიტო დადგა აუცილებლობა შექმნილიყო სამხედრო ალიანსი, რომელიც უზრუნველყოფდა იმას, რომ არ განეხორციელებინა საკუთარი ექსპანსიური პოლიტიკა ევროპასა და მსოფლიოში და ევროპის ნერვოლოგიურ ცენტრად ქცეული ბერლინი, საბოლოოდ დასავლური სამყაროს განუყოფელ ნაწილად.

სამმხრივი მოლაპარაკებები გარანტია იყო იმისა, რომ სამივე სახელმწიფო სირიის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების და პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებლობას და ინიციატივას საკუთარ თავზე იღებდნენ. დამასკოში გარკვეული პოლიტიკური ძალები მიესალმნენ მათ ერთობლივ მოლაპარაკებებს სირიის საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სირიის ოპოზიციამაც კი სამი ქვეყნის ლიდერის შეხვედრას უმნიშვნელოვანესი უწოდა. მათი აზრით, სამმხრივმა მოლაპარაკებებმა სირიაში სტაბილური და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

აღსანიშნავია 2017 წლის 11 დეკემბერს, ანკარაში გამართული შეხვედრა, რის შემდეგაც პრეზიდენტი პუტინი ყველასთვის მოულოდნელად ესტუმრა რუსულ სამხედრო ბაზას სირიის პროვინციაში, სადაც იქ დისლოცირებულ ჯარს მისიის დასრულება და შინ „წარმატებული დაბრუნება“ მიულოცა. პუტინს თან ახლდა ბაშარ ალ-ასადი. ამ კუთხით მოსკოვმა კიდევ ერთხელ ცხადყო რუსეთის, როგორც

შეუცვლელი გეოპოლიტიკური აქტორის სტატუსი. რუსეთის მიდგომის ამ ტაქტიკამ უფრო რეგიონული და გლობალური სახე მიიღო. მან ყველას მიანიშნა, რომ რუსეთი საერთაშორისო აპარეზზე როგორც მთავარი, დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთი ცდილობს ჩამოაყალიბოს და შეცვალოს აშშ-ს მიერ დომინირებული საერთაშორისო დინამიკა და დღისწესრიგი, რომელიც საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენებს როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 28 სექტემბერს, პრეზიდენტი პუტინი გაეროს ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც მან დასავლეთი დაადანაშაულა სირიის კრიზისის გაღვივებაში და ახლო აღმოსავლეთის არასტაბილური მდგომარეობის შექმნაში დასდო ბრალი და შესთავაზა საერთაშორისო კოალიციის შექმნა, რათა წინ აღუდგეს და შეებრძოლოს ისლამურ სახელმწიფოს და სხვა ტერორისტულ გაერთიანებებს.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საკმაოდ ლოგიკურიამოსაზრება, რომ აშშ-ს და მისი მოკავშირეების მიზანი იყო არაბული გაზაფხული- ან მისი მოკავშირე ისლამური ჯგუფების მიერ ძალაუფლების საკუთარსადავეებში მოქცევა ან ფარული გადატრიალება, რომელიც სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა ფერადი რევოლუციის ევრაზიული მოდელი ახლო აღმოსავლეთში. შესაბამისად რუსეთიც ჩაერია საკუთარი გავლენის შესუსტების პრევენციისთვის, მისი მხრიდან სამხედრო ინტერვენციამ უპირატესობით ისარგებლა და დაიკავა აშშ-ს და მისი მოკავშირეეების მიერ დატოვებული თავისუფალი არეალი.[35]

თუმცა არსებობდა ერთი გარემოება, რომ რუსეთის ჩაბმამ სირიის კონფლიქტში პრაქტიკულად ჩრდილში მოაქცია ირანის როლი. თეირანი აღარ ჩანდა უკვე ძველებურად გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ თურქეთსა და ირანს ქურთების მიმართ არაერთგვაროვანი შიში გააჩნიათ, რადგანაც ქურთების პრობლემა ძალიან განსხვავდება ამ ორი ქვეყნისათვის. თურქეთი განსაკუთრებულ

[35] რ. გაჩეჩილაძეახლოაღმოსავლეთი II ტომი, თბილისი, 2019 გვ 83-89

ყურადღებას ამახვილებს ქურთების მუშათა კლასზე- (PKK), რომელსაც ტერორისტულ ორგანიზაციად მოიხსენიებს, მაგრამ ირანითვის, რომლის მოსახლეობის 6,5 მილიონი ქურთებს შეადგენს, ძირითადად თავმოყრილია ოთხ პროვინციაში, რომელიც ესაზღვრება თურქეთს, ერაყს და თურქმენეთს, რაც გარკვეულ საფრთხეებს წარმოქმნის და მისი მხრიდან საჭიროებს რისკების მართვის აუცილებლობას. ამიტომ,ირანი ცდილობს შეინარჩუნოს დომინანტური როლი სირიაზე და ის მკვეთრად ხაზს უსვამს მის აუცილებელ მონაწილეობას ნებისმიერი სახის შემდგომ მოლაპარაკებებში სირიის პრობლემასთან დაკავშირებით.

სირიის ომის საწყისს ეტაპზე, ანკარამ ეს კონფლიქტი დაინახა საკუთარ შანსად იმისა, რომ დაეწყო მოქმედება როგორც შუამავალს და ასევე გაეზარდა მისი პოლიტიკური გავლენა რეგიონზე. მაგრამ თურქეთის სტრატეგია სირიაზე, უშუალოდ ირანის და რუსეთის სტრატეგიას გადაეკვეთა, როცა თურქეთმა დაიწყო წვრთნები, მატერიალური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა სხვადასხვა ისლამისტური ოპოზიციური ჯგუფების, რომლებიც ებრძოდნენ ასადის რეჟიმს, კერძოდ კი- თავისუფალი სირიის არმიას (FSA). მეორე მხრივ ,ასადის სტრატეგია სირიელი ქურთებისადმი, ომის დაწყებისთანავე მათ მიმართ სამხედრო დაპირისპირების თავიდან არიდება იყო. ამან კი, ქურთების ჯგუფი მნიშვნელოვნად გააძლიერა და ამით სტრატეგიული ალიანსისთვის დარჩენილი სივრცის დაკავების უფლება მისცა. ამით ანკარის ყურადღებამ თანდათანობით გადაინაცვლა ასადის რეჟიმზე, რამაც სირიელი ქურთები მათ რეალურ მტრად აქცია, ეს მისთვის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად იქცა. ისევე, როგორც სირიაში ქურთების და (PYD)-ის და სირიისა და ერაყის საზღვარზე მათი დომინირების და კონტროლის თავიდან აცილებაა.

სირიაში დე-ესკალაციის ზონებში 2017 წლის სექტემბრის სამი ქვეყნის ლიდერის (რუსეთი, ირანი, თურქეთი) პირველი შეთანხმების შემდეგ, თურქეთის საზღვართან ჩრდილოეთ სირიაში იდლიბში შეიქმნა უსაფრთხო ზონა. ანკარამ მხარი დაუჭირა ამ გეგმას, მაგრამ დაიწყო ოპერაცია სახელწოდებით „ზეთისხილის რტო“, სამხედრო

[36] ოპერაცია აფრინში, იმისათვის რომ თავიდან აიცილოს ქურთების კორიდორის შექმნა და მოახდინა ქალაქის ტოტალური კონტროლი .სწორედ სირიის კონფლიქტმა და ინტერესთა სხვადასხვაობამ განაპირობა აშშ-თურქეთის ურთიერთობებში დისონანსი.აშშ-ს მტკიცე გადაწყვეტილებამ ითანამშრომლოს YPG-სთან ( სახალხო დაცვის ერთეული) სირიაში და ძალთა კონფიგურაციამ თურქეთში კონტრევოლუციის(„პუტჩი“) მცდელობის შემდეგ - რომელმაც დასავლეთის მიმართ სკეპტიკური განწყობა გამოიწვია, უბიძგა თურქეთს კრემლთან დაახლოებისაკენ. 2017 წლის 20 ნოემბერს, პირველად 4 წლის მანძილზე თურქეთმა რუსეთს საჰაერო სივრცე გაუხსნა.როგორც ავღნიშნერუსეთის, ირანის და თურქეთის თანამშრომლობის გარკვეულ ჩარჩო შეიქმნა. მათ შორის არსებული გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს სამი მხარე სირიის კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებით აქტიურად თანამშრომლობს, რათა მათ შესაბამისი გავლენის სფერო ჰქონდეთ სირიაში.

კიდევ ერთი კერა ახლო აღმოსავლეთში, არის პრობლემა, რომელიც უკავშირდება იმ დაძაბულობასა და ინცინდენტებს, რაც ისრაელსა და ირანს შორის წარმოიქმნა. აშშ-მ ირანთან ბირთვული შეთანხმებაზე უარი თქვა, რამაც შესაძლოა მათ შორის კიდევ უფრო გააურესოს და დაძაბოს მდგომარეობა და გავლენა იქონიოს სირიის კონფლიქტის მოგვარებაზეც. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ითვლება თუ არა აშშ-სა და ისრაეალის მიერ ნებისმიერი სახის სამხედრო ინტერვენცია თეირანის წინააღმდეგ მიმართულად. 2018 წლის 14 აპრილის ერდოღანი საჯაროდ მიესალმა აშშს, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მხრიდან დაბომბვის ოპერაციას სირიის სამთავრობო ძალებზე, მაშინ როცა მოსკოვმა-გადაჭარბებული რეაქციის გარეშე დაგმო ეს ფაქტი და მას სირიის ლეგიტიმურ მთავრობაზე სასტიკი თავდასხმა უწოდა.

---

[36]სირიისკონფლიქტი - ახლოაღმოსავლეთისავანსცენაგვ.1.
http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473

ოცდამეერთე საუკუნის 10-იან წლებში, არაბული გაზაფხულის დაწყების შემდეგ აქტიურად განიხილბოდა ე.წ ,,თურქული მოდელის“ დანერგვის პერქსპექტივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. რასაც ხელს ოფიციალური ანკარაც უწყობდა და ყველანაირად ცდილობდა წარმოეჩინა თურქეთი ისლამისა და დემოკრატიის სინთეზის ყველაზე წარმატებულ მაგალითად. თავის მხრივ, ურთიერთობა ისლამსა და დემოკრატიას შორის არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი. ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი გახდა დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში ისლამისტური პარტიების მოსვლა. ასეთ ქვეყნებს შორის თურქეთი დღემდე ყველაზე წარმატებულ და ნათელ მაგალითად ითლება. ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ისლამის გაძლიერებამ რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. XX საუკუნში არსებული პლურალიზმის[2] ნაცვლად დღეს ხისტი პოლიტიკური პლორალიზაცია მივიღეთ. ასეთი კონფიგურაცია კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს რეგიონში. ისლამისტური პარტიები, რომლებიც ექსტრემიზმის, ძალადობასა და დანარჩენ სამყაროსთან კონფრონტაციისკენ მოუწოდებენ საკუთარ ამომრჩევლებს, უფრო ამ კრიზისის ხელისშემწყობია, ვიდრე მისი მომგვარებელი.[37]

## 3.2. ქურთები როგორც მთავარი ფაქტორი თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში ბზარის შემტანი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 2010 წელს არაბულ სამყაროში დაწყებული რევოლუციური ტალღა – „არაბული გაზაფხული“, 2011 წელს სირიაც მოიცვა. საზოგადოების მხრიდან გამოხატულ მშვიდობიან პროტესტს,სირიის ლიდერბაშარ ასადის რეჟიმმა არაპროპორციული ძალის გამოყენებით უპასუხა, რამეთუ მის მთავარ მიზანს ხელისუფლების შენარჩუნება წაროადგენს, ნებისმიერი გზით. სირიელი ხალხის

---

[37]რ. გაჩეჩილაძე, ახლოაღმოსავლეთი, ტ I , გეოგრაფიულიდაისტორიულინიშანსვეტები. თბილისი 2018 გვ 97-105

მოტივი იყო ის, რომ სუნიტურ უმრავლესობას მართავდა ალავიტური უმცირესობა. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ხალხი საპროტესტო ნოტიტ, რომლებიც მოითხოვდნენ ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიას. რის წინააღმდეგ ასადმა გახსნა ცეცხლი და აგრძნობინა ყველას რომ აქ რეჟიმის შეცვლა ისე არ მოხდებოდა, როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში მოხდა. მთავრობის მხრიდან მსგავს მოქმედებას მოჰყვა ის, რომ სირიის არმიის ნაწილები გადავიდნენ ოპოზიციის მხარეს და გამოაცხადეს, რომ იწყებდნენ ბრძოლას ასადის რეჟიმის გასათავისუფლებლად. თუმცა ასადის ოპოზიცია ვერ ახერხებდა წინსვლას, რადგან ასადისრეჟიმმაუმალვემოახერხაოპოზიციისგანადგურება,რასაცმოყვა, უცხოელირადიკალიმებრძოლების შემოსვლა.მათმხარდაჭერა აღუთქვესოპოზიციასდაიბრძოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. შემდეგ ეს რადიკალური ჯგუფები გაიყო ორ ნაწილად და გაჩნდა ე.წ. ისლამურის სახელმწიფო და მეორემ ისევ გააგრძელა ალ ქაიდასთან თანამშრომლობა. რადიკალური ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთავარ მოკავშირედ ქურთების მუშათა პარტია დაისახა და მხარდაჭერა აღუთქვა. რუსეთმა, როგორც ვახსენეთ, მხარი დაუჭირა ასადის მთავრობას,ისევე როგორც ირანმა. თურქეთი კი მხარს უჭერდა სირიის ოპოზიციას. ფაქტობრივად შეიქმნა მოცემულობა კონფლიქტისა სადაც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა.ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მომხდარ ყველა კონფლიქტში ქურთები აქტიურად არიან ჩართულნი.თურქეთი მთავარ პრობლემას ხედავს ქურთისტანის მუშათა პარტიაში, რომელიც შესაძლებლობის შემთხვევაში რეალურ საფრთხეს შეუქმნისთურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ქურთული დაჯგუფების პრიორიტეტს წარმოადგენს თურქეთის ტერიტორიაზეთავიანთი კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია შექმნან, ერაყის ქურთისტანის მსგავსად, რომლებიც გახდნენ საფუძველი და ინსპირაციის წყარო თურქ ქურთებში თვითგამორკვევის ახალი ტალღის გაჩენისა.თურქეთსა და ქურთულ დაჯგუფებებს შორის ურთიერთობების განსაკუთრებით გაამწვავავება სირიაში არსებულმა

კრიზისმა განაპირობა და სწორედ ეს გახდა საფუძველი აშშ-სთან გარკვეული დაპირისპირებისა და მათ შორის ბზარის გაჩენის. თურქეთის თვალთახედვით, სირიაში ქურთების გავლენის მზარდი ტენდენცია, რასაც მათდამი აშშ-ს მხარდაჭერა განაპირობებს, ჯაჭვური ეფექტის პრინციპით გამოიწვევს მის ტერიტორიაზე არსებული ქურთულიდასახლებების მიე რ ავტონომიის მოთხოვნის გაძლიერებასა და, რაც ყველაზე მთავარია, შესაძლებელია თურქეთის იურისდიქციიდან გამოყოფის პროცესსაც, ერთ იანი ქურთულისახელმწიფოს შექმნის მიზნით.სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთლიანი ტერიტორიის მეხუთედ ნაწილს, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე ქურთული სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) აკონტროლებენ. მიუხედავად ათეული წლების მანძილზე მათზე განხორციელებული მკაცრი რეპრესიებისა და ტერორისა, სირიელი ქურთები ასადის მთავრობის წინააღმდეგ პრაქტიკულად არ იბრძვიან. მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქურთული ეთნოსით დაკონფლექტებული ტერიტორიების სამხრეთიდან, ისლამური სახელმიწფოსგან თავდაცვა და უსაფრთხოება, ხოლო ჩრდილოეთიდან თურქული შეტევებისგან დაცვა. ქურთები სუნიტები არიან, რომელიც მკვეთრად ეგალიტარული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას სხვა ეთნოსებისა და კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად ცდილობენ. ქურთი მებრძოლები ერთ-ერთ საუკეთესო ჯარისკაცებად მიიჩნევიან, რომელიც ეფექტურად იბრძვიან ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათ უშუალო მხარდაჭერას უწევს ხმელეთიდან ერაყული, ქურთული საბრძოლო დანაყოფები ე.წ. ფეშმერგას მებრძოლები და ჰაერიდან აშშ-ის ავიაცია. თურქეთის ხელისუფლება ქურთების 'სახალხო დაცვის შენაერთებს' (YPG) მის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტული ორგანიზაციის 'ქურთისტანის მუშათა პარტიის' (PKK) სირიულ ნაწილად მიიჩნევს და მის წინააღმდეგ არაოფიციალურად საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა თუმცა გასულ წელს თურქეთმა ქურთების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია - ,,პალმის რტო" - გამართა. სამოქალაქო

ომის დაწყებამდე სირიასა და თურქეთს შორის დამთბარი ურთიერთობის მიუხედავად, რომელიც სირიიდან ქურთების ლიდერის აბდულა ოჯალანის გაძევებას მოჰყვა, საპროტესტო გამოსვლების(2011 წელი) შემდგომ თურქეთმა ასადის გადადგომას დაუჭირა მხარი. უშუალოდ აშშ-სა და თურქეთს შორისდაპირისპირებისმთავარი პრობლემასირიისკონფლიქტში იქცა, ქურთული სამხედრო დანაყოფების არსებობა, კერძოდკისირიაშიმოქმედიქურთების მუშათა კლასი. წლებისგანმავლობაშიაშშდათურქეთისბაშარალ-ასადისრეჟიმისწინააღმდეგმეომარი,დასავლურიკოალიციისწევრებიიყვნენდამათსაე რთომიზანიამოძრავებდათ. უკანასკნელპერიოდშივითარება საგრძნობლადშეიცვალა.აშშ-მდათურქეთმაასადისმთავრობის შეცვლისსურვილზე მეტად, პრიორიტეტულად დაისახეს ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ლიკვიდირება. სწორედ ეს იქცა მათ ურთიერთობებში რეგრესული პოლიტიკის მიზეზად, რომელიც მათ შოორის იდეურმა სხვადასხვაობამ და ინტერესთა კონფლიქტმა წარმოშვა.მიუხედავად იმისა, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში თურქეთი აშშ-ს კოალიციის წევრი იყო, მას არაერთხელ გაუკრიტიკებია ვაშინგტონი SDF-ს მხარდაჭერის გამო. ამასთანავე, ის ხელს უშლიდა ალიანსს, რომ სირიის ჩრდილოეთ საზღვარი დაემორჩილებინა.თურქეთისთვის ქურთები და მათგან გამოწვეული შესაძლო კრიზისები, ძლიერი სახელმწიფოს შენარჩუნებისდა ტერიტორიული მთლიანობით არსებული სტაბილური მდგომარეობის დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ნაბიჯი იყო, შესაბამისად მან მიუღებლად ჩათვალა აშშ-ს მხრიდან გაწეული დახმარება ქურთების მიმართ.თურქეთის მიზანია, რომ ქურთების სახალხო თავდაცვის შეიარაღებული დანაყოფები, საკუთარი საზღვრიდან, რაც შეიძლება შორს წაიყვანოს და დიდი ბუფერული ზონა შექმნას თურქეთში მცხოვრებ ქურთებსა და სეპარატისტულად განსაკუთრებით განწყობილ მეამბოხეებს შორის, რადგან მიაჩნია, რომ ისინი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. გარდა ამისა, სასაზღვრო რეგიონში 3,5 მილიონი სირიელი ლტოლვილი ცხოვრობს და

ანკარა აპირებს, რომ მათი ნაწილი სწორედ ქურთებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე გადაასახლოს. თუმცა აღსანიშნავია ის წვლილი, რაც ქურთულმა სამხედრო დანაყოფებმა გაიღეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ისლამური სახელმწიფოს დამარცხებაში. ქურთები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ და პოლიტიკურთან ერთად, საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალაც ჩამოაყალიბეს, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სირიელი ქურთების შეიარღებული ძალები – YPG – ,,სახალხო თავდაცვის რაზმები,, ერთ-
ერთი ყველაზემოწესრიგებული, მომზადებული და მოტივირებული ძალაა სირიის კონფლიქტში,რომელიც დღემდე ყველაზე აქტიურად იბრძვის ,,ისლამური სახელმწ იფოს,,წინააღმდეგ.ამ გარდამავალ პერიოდში, გასათვალისწინებელია თურქეთის საკმაოდ რთული მდგომარეობაც. ერთის მხრივ, ანკარამ ჩამოაყალიბა ორმხრივი, კარგი ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე ირანთან, თუმცა, რეგიონში მათი პოზიციებისა და გავლენის ზრდა ნაკლებად აწყობს. მეორეს მხრივ, თურქეთისთვის განასაკუთრებით მგრძნობიარე ქურთების საკითხი ჩრდილს აყენებს ანკარას მჭიდრო პარტნიორობას აშშ-თან, რადგან ვაშინგტონი ერაყშიც და სირიაშიც ქურთებთან მჭიდროდ თანამშრომლობს. მდგომარეობის გამოსასწორებლად, აშშ-მ გადაწყვიტა შუამავლის გუნქცია ეკისრა და ორივე მხარეს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებოდა. საერთო კონსესუსის ფონზე გადაწყვიტეს სირიის ჩრდილოეთით უსაფრთხო ბუფერული ზონის შექმნა. ქურთებს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ ისინი დაშლილიყვნენ სამხედრო ბაზებსა და სასაზღვრო ტერიტორიიდან მძიმე არტილერიასა და შეიარაღება გაიტანდნენ. სტაბილურობის საგარანტიოდ შეიქმნებოდა კოორდინირების ერთობლივი ჯგუფი და ტერიტორიის პატრულირებას მოახდენდნენ. თურქეთის პრეზიდენტი, რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აშშ-ს მოუწოდებდა დროში არ გაეწელა შეთანხმების პირობები , წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამის მკაცრ ზომებს მიიღებდა და დაიწყებდა საომარ მოქმედებებს ქურთების წინააღმდეგ. საკმაოდ მყიფე და დაძაბული რეალობის პირობებში აშშ-ს

[38] პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ყველასთვის მოულოდნელად ამერიკელი სამხედროების სირიიდან გაყვანა გადაწყვიტა, რამაც რათქმაუნდა უკმაყოფილება გამოიწვია როგორც აშშ-ს წარმომადგენლობით პალატაში, ასევე პარტნიორ სახელმწიფოთა და პოლიტიკოსების მხრიდან. მათი აზრით აშშ-ს ეს გადაწყვეტილება თურქეთთან მიმართებაში დათმობაზე წასვლას გულისხმობდა. საკმაოდ დიდი იმედგაცრუება განიცადა ქურთულმა მახარემ, მათთვის ტრამპის ეს გადაწყვეტილება ზურგში დანის ჩარტყმას ნიშნავდა, რადგან აშშ-ს მთავარი დასაყრდენი აისისთან ბრძოლაში და მათ დამარცხებაში სწორედ ქურთები იყვნენ და როდესაც მედიატორის როლი უნდა ეკისრა მათსა და თურქეთს შორის სწორედ ამ დროს აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარებისა და საერთაშორისო ექსპერტების მკაცრი კრიტიკის შემდეგ ტრამპმა განცხადება გააკეთა რომელიც გულისხმობდა მუქარას თურქთის მიმართ, თუკი ისინი გაცდებიან და დაარღვევენ აშშ-ს ინტერესებს და შეულახავენ ავტორიტეტს. თუმცა თურქეთი არ აპირებდა საკუთარი პოლიტიკის შეცვლას და აგრძელებდა ისეთ მოქმედებას, რომელიც აშშ-ს გაღიზიანებას იწვევდა. პარალელურად საკმაოდ დაასტაბილურა ურთიერთობები რუსეთთან, თავის მხრივ რუსეთის ინტერესიც იყო თურქეთთან ურთიერთობების აღდგენა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა. ამას დაემატა თურქეთის მხრიდან რუსეთისაგან ისეთი ტიპის საზენიტო-სარაკეტო კონფლექსი **S-400-ის სახით, რომელიც შეუსაბამოა ნატოს შეიარაღებასთან და საშუალებას იძლევა მოიპოვოს სრული ინფორმაცია სლიანსის სრულ შეიარარებაზე, გარდა ამისა, ვერ მოხერხდება მათი ჩართვა ნატოს ერთობლივ თავდაცვით სისტემებში.**აშშ-ის მხრიდან სანქციების დაწესების მუქარის მიუხედავად, თურქეთის მხრიდან რუსული წარმოების რეგიონული საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემის **S-400** მიღება გრძელდება.ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ამ საჰაერო სისტემას მიიჩნევენ შეუთავსებლად ნატოს სისტემებთან და საფრთხედ F-35 ტიპის

[38]გამწვავებულიაშშ-თურქეთისურთიერთობებიდათურქეთისგეოპოლიტიკა.
https://1tv.ge/analytics/gamwvavebuli-ashsh-turqetis-urtiertoba-da-turqetis-ostpolitika/, გვ 1.

საბრძოლო თვითმფრინავებისთვის. ვაშინგტონი თურქეთს მოუწოდებდა **S-400-ის** ნაცვლად შეესყიდა აშშ-ის წარმმოების, **"პეტრიოტის"** ტიპის სისტემა. აშშ-მა თურქეთს 2019 წლის ივლისი დაუწესა ბოლო ვადად, რომ გადაწყვეტილება გაეუქმებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას **F-35** ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების წარმოების პროცესში კონტრაქტების დაკარგვა დაემუქრებოდა. თუმცა ვაშინგტონმა უფრო ადრე დაიწყო თურქეთის ჩამოშორება **F-35**-ის პროგრამიდან და შეაჩერა ამ ტიპის თვითმფრინავებზე თურქი პილოტების წვრთნა.თურქულმა მხარემ განაცხადა, რომ რუსეთისგან **S-400** საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენა არაა იმის მიზეზი, რომ ქვეყანა გამორიცხულ იქნეს აშშ-ის **F-35** გამანადგურებლის პროექტიდან.
არსად არ წერია, რომ გარიცხული იქნები პროექტის ფარგლებში არსებული პარტნიორობიდან, თუკი S-400-ს შეიძენ. ჩვენი პროექტიდან ჩამოშორება იმის გამო, რომ რომელიმე ერთ სახელმწიფოს სურს ეს,
არ იქნება სამართლიანობა, კანონიერი ან უფლებებთან შესაბამისი.თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მანამდე რამდენიმე საათით ადრე აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა გააფრთხილა თურქეთი, რომ მისი მოქმედების ერთ-ერთი შედეგი იქნება ქვეყნის მონაწილეობის შეწყვეტა F-35-ის პროდუქციაში. თურქეთი განიხილავს აშშ-ის უკანასკნელ წინადადებას, რომ თურქეთს ალტერნატივის სახით მიჰყიდოს ამერიკული **Patriot**-ის სარაკეტო თავდაცვის სისტემები. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, მონაწილეობს ამ რეაქტიული გამანადგურებლის პროდუქციაში, რომელიც ალიანსის შეიარაღებული ძალებისთვისაა განკუთვნილი, და თავადაც გეგმავს 100 თვითმფრინავის შეძენას. აშშ-მა ანკარას მოსთხოვა, უარი თქვას რუსეთთან გარიგებაზე. ვაშინგტონი აცხადებს, რომ **S-400** სისტემის რაკეტები არ არის თავსებადი ნატოს სისტემებთან და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს **F-35**-ისთვის.აქარის თქმით, თურქეთმა აშშ-სა და სხვა ნატოელ მოკავშირეებს აუხსნა, რომ ანკარამ ზომები მიიღო იმისთვის, რომ **S-**

**400** რაკეტებმა საფრთხე არ შეუქმნას **F-35** გამანადგურებლებს.[39] თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოანი აცხადებს, რომ შეიძენს რუსულ სისტემებს და ამის თაობაზე გარიგება უკვე მიღწეულია. ამა წლის 1 მაისს ერდოანმა განაცხადა, რომ **F-35-ის** პროექტი ჩაიშლება, თუკი თურქეთი არ მიიღებს მასში მონაწილეობას. თურქული მხარე ასევე მკაფიოდ აღნიშნასვ, რომ **S-400 მას სჭირდება თავდაცვის მიზნით, რომელსაც განალაგებს სირიის საზღვარზე და ის ნატოს უსაფრთხოებისთვის არავითარ პრობლემას წარმოადგენს.**[40] შეერთებულმა შტატებმა თურქეთის წინააღმდეგ სანქციები მიიღო და თურქული ლითონის იმპორტზე ტარიფები გაზარდა. ანკარამ კი ვაშინგტონს ამერიკულ პროდუქციაზე საქციებით უპასუხა, მათ შორის, მანქანებზე, თამბაქოსა და ალკოჰოლზე.საგარეო ურთიერთობების საბჭოს უფროსი მკლევარი ჰენრი ბარკი აცხადებს, რომ აღნიშნული სიტუაცია ტრამპის და ერდოღანის ნებისყოფის გამოცდაა. ამერიკამ და თურქეთმა ისტორიულად სხვა სისტემური კრიზისებიც გადაიტანეს. თუმცა რიტორიკის თვალსაზრისით, ეს ყველაზე რთული კრიზისი აღმოჩნდა. მისივე თქმით, ურთიერთობა შესაძლოა გაუმჯობესდეს, თუმცა ერდოღანის ანტი-ამერიკული რიტორიკამ შესაძლოა ორი ქვეყანის გრძელვადიან სამომავლო თანამშრომლობასა და ურთიერთობას ავნოს.თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები ისტორიულად ბევრჯერ დაიძაბა, მათ შორის კუბის კრიზისის დროს 1962 წელს, კვიპროსის კონფლიქტისას 1974 წელს და ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ 2003 წელს, როცა ანკარამ ვაშინგტონს დახმარების გაწევაზე უარი უთხრა. თუმცა, დღევანდელი აგრესიული რიტორიკა ნატოს ორ მოკავშირეს შორის აქამდე არ ნახულია. ამჟამად პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თურქეთი რუსეთისკენ ბოლომდე არ უნდა გადაიხაროს. დასავლეთთან დაპირისპირება, შესაძლოა დროებითია და ის NATO-ს მოკავშირეებთან ღირებულებებში განსხვავებებს არ უკავშირდება. თავის

---

[39]თურქეთისგეოპოლიტიკურიპაზლიდასაქართველო. https://netgazeti.ge/news/234620/, გვ 1
[40]ამერიკა-თურქეთისკრიზისი. გვ 1 http://www.tabula.ge/ge/story/160671-amerika-turqetis-krizisi-ra-gavlena-aqvs-saqartveloze-or-qvekanas-shoris-dapirispirebas. გვ 1

მხრივ, თურქეთი ცდილობს ალიანსს დაანახოს, რომ ის დამოუკიდებელი მოთამაშეა, რომელიც არ არის იმით შეზღუდული, თუ რა სურს მისგან დასავლეთს. თურქეთს NATO-ში დარჩენა სურს და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შავი ზღვაა. თურქეთი ისტორიულად დიდი სიფრთხილით აკვირდება შავ ზღვაში რუსეთის გაძლიერებას და ახლა, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა. რუსეთს და თურქეთს არაერთი შეუთავსებელი უთანხმოება აქვთ - მათ შორისაა, მთიანი ყარაბაღიც, სადაც რუსეთი სომხეთს უმაგრებს მხარს, თურქეთი კი აზერბაიჯანს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი თითქოს რუსეთისკენ შეტრიალდა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მათ შორის დიდი გამოწვევებია. აშშ - თურქეთისდაძაბულობასთავისისამხედრო-პოლიტიკურიფასიშესაძლოა ჰქონდეს. საუბარიაროგორცთურქეთშიარსებულიინჯირლიქისამერიკულისამხედრო-საჰაეროზაზისფუნქციონირებაზე, ასევევითარების კიდევ მეტად გამწვავების შემთხვევაში,რადიკალურშესაძლებლობაზე - თურქეთისნატოშიწევრობისსაკითხზე, რომელიცარცმეტი, არცნაკლებიაშშ-სვიცე-პრეზიდენტმამაიკპენსმადააყენა, როდესაც S-400-ებისშესყიდვასთან დაკავშირებითანკარასმოუწოდაგაეკეთებინაარჩევანინატოსადარუსეთსშორის. შესაძლოა გადაჭარბებული შეფასება იყო ფაქტის, თუმცა აღსანიშნავია, რომ მსგავსიმაღალი დონის ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადების, სრული იგნორირებაც არიქნება მიზანშეწონილი, თუმცა არც იმას აღნიშნავს რომ შესაძლოა თურქეთის ნატოდან გარიცხვის საკითხი უახლოეს დღეებში დადგეს დღის წესრიგში. მართალია ნატოს შიგნით არსეული განხეთქილება რუსეთის ინტერესებშია, რამეთუ მათ მიზანს დიდი ხანია წარმოადგენს ნატოს გახლეჩა.

## 3.3. თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში არსებული პრობლემების გავლენა საქართველოზე

მედალს ორი მხარე აქვს, შესაბამისად აშშ-თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება საქართველოსთვის იქნება რათქმაუნდა როგორც საფრთხის შემცველი პოლიტიკური თვალსაზრისით და ეკონომიკური სტაგნაციის,როგორც ხელშემწყობი ფაქტორი, თუმცა მეორე მხარეს არის შეაძლებლობა, რომლის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოსკიდევ უფრო დაახლოებს დასავლეთთან და გაზრდის ნატოში ინტეგრაციის შანსს, რადგან აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესები ვრცელდება რათქმაუნდა კავკასიაზეც, ამიტომ მის მთავარ მოკავშირედ და დასაყრდენად სავარაუდოდ საქართველოს განიხილავს. მათ სჭირდებათ სტაბილური და ერთგული მოკავშირე. თუ საქართველომ შეძლო და აშშ-ს შესთავაზა მეტად რელევანტური როლი და აქტიურად ითანამშრომლებს, შეიქმნის დიდ პლატცდარმს დასავლური სამყაროს ნაწილი გახდეს.

*აშშ-სადათურქეთსშორისურთიერთობების განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესების და მათ შორის დაწყებული ეკონომიკური ომისგამო, მნიშვნელოვნად აისახა თურქეთის ეკონომიკაზე, რომელიც აშშ-ს მხრიდან სანქციების მორევში ჩაეფლო. თურქეთის საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კი პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. მოგეხსენებათ თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, შესაბამისად* თურქეთშიეკონომიკურბიძგებს, საქართველოზეპირდაპირიგავლენააქვს. 2019 წლისიანვარი-სექტემბრის სტატისტიკის მიხედვით 1.3მილიარდიამერიკულიდოლარით, თურქეთისაქართველოსუმსხვილესსავაჭროპარტნიორადრჩება. ესპოზიციათურქეთსდაახლოებით მეოცე საუკუნის ბოლოდან უჭირავს. ინფლაციათურქეთიდანექსპორტის წახალისებას იწვევს,ბაზარზე საქონლის

გაუფასურებიდან გამომდინარე.ადგილობრივბაზარზესაქონლის ფასი მცირდება, მაშინ, როდესაცსაქართველოდან საქონლის ექსპორტზე მიღებულიშემოსავალინაკლებია. უარყოფითისალდოსპირობებში (როდესაც უფრომეტიპროდუქციისიმპორტი ხდება, ვიდრეექსპორტზეგატანა), აუცილებელია რისკების განსაღვრისთვის ქვეყანაშიჯამურიინვესტიციამაღალიიყოს, რომესდისბალანსიარასტაბილურობის საფუძველიარგახდეს. ამჟამადქვეყანაშიარშემოდისსაკმარისიპირდაპირიუცხოური ინვესტიცია,რაც განაპირობებს სწრაფეკონომიკურ ზრდას.[41] ამასთანავე, საქართველოშიჯამურინვესტიციებშილიდერის პოზიციაფულადგზავნილებს, ტურიზმსდა სხვ ქვეყნებისგან აღებულკრედიტებსუკავია, სადაცთურქეთიასევემთავარ როლში გვევლინება. საქართველოშიგანხორციელებულიფულადიგადმორიცხვებით, თურქეთი 2012-2019 წლისმონაცემებითსაწყისექვსეულშია. თურქულიფულის ინფლაციამოქმედებს, როგორცგადმორიცხულიგზავნილებისრაოდენობასა და მოცულობაზე, ასევეიმსაქართველოსმოქალაქეებზე, რომლებიცთურქეთშიარიანდასაქმებულიდათანხასსაქართველოშირიცხავენ. თურქეთსა და აშშ-ს შორის ვითარების გამწვავებამ*უარყოფითეკონომიკურგავლენასთანერთად, ამერიკა-თურქეთსშორისდაძაბულობა, საქართველოსრთულპოლიტიკურმდგომარეობასაცუქმნის.*

როდესაც უსაფრთხოების და გეოპოლიტიკის საკითხებს ეხება საქმე, თურქეთი უპირველეს ყოვლისა საკუთარ ხედვას ენდობა. მისთვის უზენაესი და ფუნდამენტალური ფასეულობა არის სახელმწიფო ინტერესები და მთავრობა პასუხისმგებელია იყოს იმ უპირატესობის მუდმივ ძიებაში, რომელიც მიმართული იქნება ეროვნული ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, თურქეთის მთავრობა

---

[41] http://www.tabula.ge/ge/story/160671-amerika-turqetis-krizisi-ra-gavlena-aqvs-saqartveloze-or-qvekanas-shoris-dapirispirebas აშშ-თურქეთის კრიზისი. გვ 1

მიიჩნევს, რომ ქურთების მოძლიერებას შესაძლოან მოყვეს თურქეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა და პრევენციულად მოქმედებს რისკების სამართავად, ხშირად არაპროპორციული ძალის გამოყენებით.

შესაძლოა ითქვას თურქეთსადააშშ-სშორისგაუარესებულიმდგომარეობათურქეთისმმართველიელიტისპოლიტიკურიდ ღისწესრიგისშედეგია. გასულიწლებისგანმავლობაშიპოლიტიკურიძალაუფლებისკონცენტრაციისპრეზიდენ ტისხელშიმოქცევამ, რომელიცაპრილისრეფერენდუმმასამართლებრივადგაამყარა, თურქეთის, როგორცშიდა, ასევეგარესაფრთხეებისკარდინალურმაზრდამ, მისიდასავლელპარტნიორებთანმთელრიგსაკითხებშისაერთომიზნებისარქონამგამოი წვიაის, რომთურქეთისხელისუფლებასსუვერენულობისიდეისგაძლიერებისკენუბიძგა. დღეს, ქვეყნისმმართველიძალაცდილობსსაკუთარი, დამოუკიდებელიშიდადასაგარეოპოლიტიკაგაატაროს, რომელიცითვალისწინებსმხოლოდთურქეთისინტერესებსდაარიზიარებსმისისაერთა შორისოპარტნიორებისღირებულებებს,მიზნებსადასულისკვეთებას. თურქეთისჩრდილოატლანტიკურიალიანსისწევრიქვეყანაა, რაცმის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ამყარებს.ევროკავშირიკიქვეყნისმთავარისავაჭროპარტნიორია, რომელზეცდიდწილადაადამოკიდებულითურქეთისეკონომიკურიგანვითარება. ამმოცემულობაშირამდენხანსგასტანსთურქეთისაღმოსავლურიპოლიტიკა, რომელიცმისისტაბილურობისგარანტადჯერკიდევვერჩაითვლება, რთულადპროგნოზირებადიაუპირველეს ყოვლისა როგორც უკვე გითხარით, ქურთისტანის საკითხი არის გადამწყვეტი, მაგრამ უფრო ფართო თემებიც არსებობს. ქურტები წარმოადგენენ საფრთხეს იმ დიდი მიზნისკენ, რომლისთვისაც თურქეთი იბრძვის.დასავლეთთან ურთიერთობა თურქეთისთვის მნიშვნელოვანია და ამიტომაც არის ის ნატოს წევრი, მაგრამ ამავე დროს თურქეთი საკუთარ თავს გეოპოლიტიკურ ცენტრად განიხილავს, რომელმაც თავის გარშემო გარკვეული

რეალობა უნდა ააწყოს. ის საკუთარ თავს აღარ აღიქვამს სხვისი რეალობის ნაწილად როგორც ცივი ომის დროს, როცა ის დასავლური სივრცის შემადგენელი ნაწილი იყო. მას სურს დამოუკიდებელი აქტორის როლი შეითავსოს და საკუთარ რეგიონში. რაშიც მოდის ძირითად წინააღმდეგობებში სხვა რეგიონულ ლიდერებთთან. თურქეთს, შესაძლოა უშუალოდ დასავლეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს, უბრალოდ, ამ ეტაპზე მოხდა ინტერესთა გადაკვეთა, შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი საკუთარ  თავს რეგიონულ ლიდერად განიხილავს,  ეს ნიშნავს იმას, რომ თურქეთი არიტყვის უარს საკუთარ რეგიონალურ ინტერესებზე, მიუხედავად შესაძლო დაპირისპირებისა დასავლეთთანან სხვა გავლენიან მოთამაშესთან, ვინც ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოლიტიკის გატარებას შეეცდება, მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს (როგორც აღმოჩნდა) ამერიკის შეერთებული შტატებიც. იგივე დამოკიდებულება  იგრძნობა სირიის კონფლიქტთან მიმართებაში და იქ სირიელი ქურთების საკითხში.ირანს და თურქეთსაც აქვთ ურთიერთ საპირისპირო ინტერესები, რადგან პრიორიტეტს ერთსა და იმავე რეგიონზე, ახლო აღმოსავლეთზე აკეთებენ.

თბილისში უნდა გააცნობიერონ, რომ გეოპოლიტიკური რეალობები საკმაოდ მყარია და მათი ცვლილება მოკლე დროში ადვილად არ ხდება. საერთაშორისო პოლიტიკას აქვს ისტორიული პერსპექტივა და სიღრმე და საქართველოც ამ პრიზმაში აუცილებლად მოიაზრება. შესაძლოა ვისაუბროთ რომელიმე სახელმწიფოს ან რეგიონის გეოგრაფიული უპირატესობაზე, რომელიც გეოპოლიტიკურ უპირატესობასა და უფრო სწრაფ გაწევრიანებაში მდგომარეობს. საქართველოს მართებს სტრატეგიული მოთმინება, სანამ შესაძლებლობის ფანჯარა გაჩნდება, რაც ნიშნავს ერთდროულად გეოპოლიტიკური მოცემულობის ცვლილებას და პოლიტიკური ნების ჰარმონიას. თუ ნატოს წევრ ორ ქვეყანას შორის, დიპლომატიური დაპირისპირება ბრძოლის ველზე გადაინაცვლებს ეს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, არამედ საქართველოზეც იქონიებს, სავარაუდო, გავლენას.

ეს კი, ექსპერტების ვარაუდით, ამერიკასთან დაშორების შემთხვევაში თურქეთის რუსეთთან დაახლოების ბუნებრივი შედეგიიქნება.

„ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ეროზიას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, შესაძლოა, საზიანო შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, თურქეთის რუსეთის ღერძისკენ გადახრა მოყვება, რაც გამოიწვევს ასევე, მხედველობაში მაქ რუსეთის გავლენის ზრდა თურქეთზე, პროპორციულად გაზრდის რუსეთის ბერკეტებს საქართველოზეც. ამიტომ ვფიქრობ თურქეთ-ამერიკის და თურქეთ-ნატოს ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველო ამერიკის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისთვის თურქეთის მნიშვნელობის არ არის, თუმცა ის შესაძლოა თურქეთთან ურთიერთობების გაცივებასთან ერთად ვაშინგტონმაუფრო საიმედო პარტნიორად განიხილოს .

"მართალია საქართველოს არ აქვს საზღვარი სირიასთან, ერაყთან და ირანთან როგორც თურქეთს, მაგრამ საქართველო ამერიკისთვის რუსეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მოთამაშეა. ამ ნაწილში თურქეთი საქართველოსგან განსხვავდება რადგან თურქეთი რუსეთთან გარკვეულწილად თანამშრომლობს... ამერიკამ შესაძლოა განიხილოს საქართველო, როგორც უფრო სანდო პარტნიორი, რადგან ვიცით, რომ საქართველო რუსეთისკენ უახლოეს მომავალში არ შეტრიალდება".

საჭიროა ორი რამის გონივრული კომბინაცია: ერთი მხრივ, ჩვენი საერთო რეგიონული ინტერესების გატარება სატრანსპორტო და სხვა სტრატეგიულ საკითხებთან მიმართებაში, მეორე მხრივ საჭიროა პრინციპულობის დაცვა, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომელიც საქართველოს შიდა საქმეებს ეხება. ამ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის კომბინირებით, მიუხედავად იმისა თუ რა ურთიერთობები და პრობლემები ექნება თურქეთს დასავლეთთან, ჩვენ შეგვიძლია ანაკარასთან კარგი თანამშროლობა და დასავლეთთან მეტად დაახლოება.თურქეთისგეოპოლიტიკურიინტერესებისაქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეისწავლოს და გაითვალისწინოს იმ კუთხით, თუ რა საერთო

ინტერესთა თანხვედრა შეიძლება იგრძნობოდეს საქართველოსთან მიმართებში.საქმეიმაშია, რომთურქეთისადასაქართველოსინტერესებისტრუქტურულადსაკმაოდახლოსაერთ მანეთთან. სამხრეთკავკასიისსატრანსპორტოდერეფნისარსებობა, ფუნქციონირებადაგანვითარებათურქეთისერთ-ერთიპრინციპულიინტერესია. ესსწორედაცრომსაქართველოსსაკვანძოინტერესიცაა. საქართველოცარისამდერეფნისნაწილი, შესაბამისადჩვენიქვეყნისგანვითარებისპერსპექტივებიამდერეფანსაც მნიშვნელოვნადუკავშირდება. აქედანგამომდინარე, ამძალიანმნიშვნელოვანსაკითხშიინტერესთა თანხვედრა იგრძნობა.აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ, თუსაქართველოიქნებადასუსტებულიდაჩამოშლილი სახელმწიფო, აღნიშნული დერეფანიმისიგავლითვერიფუნქციონირებს. შესაბამისად, თურქეთისთვისსაქართველოსდასუსტებამათთვის რენტაბელური დამისაღებიარარის, რასაცვერვიტყვითრუსეთზე. აქედან გამომდინარე თურქეთის რუსეთთან დაახლოება საკმაოდ ალოგიკურია თუნდაც საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ფაქტორის გათვალისწინებით.რუსეთის ინტერესი ნაკლებადაა, საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შეთავსება, შესაბამისად არ სურთ, ამ დერეფნის ექსპლუატაცია, განსხვავებით როგორც ავღნიშნეთ თურქეთისგან, რომელსაც ეს პროექტიაუცილებლად სჭირდება. ესძალიანმნიშვნელოვანიგანსხვავებაამათშორისთუნდაცამსაკითხში. თურქეთისშემთხვევაშიისეთიურთიერთობისაწყობარომელიცჩვენსინტერესებშიცშე დისაბსოლუტურადშესაძლებელია.

## დასკვნა

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებს განძრახული ჰქონდათ დარჩენილი ტერიტორიები დაენაწილებინათ. თუმცა მუსტაფა ქემალ ათათურქის მეთაურობით თურქეთმა შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და სუვერენიტეტის აღდგენა. მან გადაწყვიტა ევროპულ ღირებულებებთან თვისებრივად იდენტური რეფორმების გატარება, რომელიც იქნებოდა ჰარმონიაშითურქეთის საზოგადოების ფასეულობებთან და ღირებულებებთან თავსებადი პარამეტრებით და არ აღმოჩნდებოდა საზოგადოებისთვის მიუღებელი და არ დააკარგვინებდა ნდობას და ძალაუფლებას. მუსტაფა ქემალ ათათურქის დროს თურქეთი ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი კვლავ აღმოჩნდა ძალიან დიდი რისკებისა და გამოწვევების წინაშე. თურქეთს აღარ გააჩნდა არანაირი რესურსი, ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში საკუთარი ძალებით ადეკვატური პასუხისგაცემის. საფრთხე კი ნამდვილად იგრძნობოდა მეზობელ საბჭოთაკავშირის მხრიდან, რომელსაც სურდა საბჭოთა ექსპანსიისგავრცელება და მათ შორის თურქეთიც მოიაზრებოდა. გარდა ამისა საბჭოთა კავშირის მაშინდელ ბელადს იოსებ სტალინს განძრახული ჰქონდა თურქეთის მიერ მითვისებული ტერიტორიები ჩამოერთვა და ისტორიულ საზღვრებში დაებრუნებინა. არსებული რისკების და თურქეთის ზალზედ დასუსტების ფონზე საჭირო იყო ისეთი მანტიის მოპოვება, რომელიც მის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს დაიცავდა. ასეთად თურქეთის მთავრობამ ინგლისი და საფრანგეთი მიიჩნია და დახმარების სათხოვნელად მიმართა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი ქვეყნებიც იმდენად იყვნენ დასუსტებული, რომ ვერ გაუწევდნენ წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირს, უარი უთხრეს, მაგრამ არსებობდა იმედი რომელიც თურქეთს იხსნიდა

მოსალოდნელი საფრთხისაგან, ეს იმედი ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ინგლისმა და საფრანგეთმა პირობა მისცეს თურქეთის დელეგატებს, შუამავლობას გაუწევდნენ აშშ-სთან მოლაპარაკებებში. თურქეთის ძალზედ ხელსაყრელი და მომგებიანი სტრატეგიული უპირატესობა აშშ-სთვისაც მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად საბჭოთა კავშირის პოლიტიკის წინაღმდეგობის გასაწევად და სადავეების მოსაპოვებლად თურქეთი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. სწორედ ამ ეტაპიდან იწყება აშშ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები. აშშ-ს პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის დოქტრინა იქცა რკინის ფარდად თურქეთისთვის. მისი აზრით შეკავების გრძელვადიანი სტრატეგია განაპირობებდა საბჭოთა საფრთხეებისაგან პრევენციას. დოქტრინის არსი იყო შემდეგი, თუაშშსაბერძნეთსდაკარგავდა, თურქეთიგახდებოდათავდაცვისუუნაროკომუნიზმისწინააღმდეგ, ასევეთუთურქეთიშეასრულებდასაბჭოთამოთხოვნებს, საბერძნეთიცდიდისაფრთხისწინაშედადგებოდა.დასავლეთისმარცხისაბჭოთა კავშირთან ევროპის უსაფრთხოებისა და დაცვისსაკითხში, არამარტო თურქეთისთვის იქნებოდა ხელისშემშლელი, არამედკიდეუფროგააძლიერებდა საბჭოთაკავშირისშესაძლებლობასახალიომისშემთხვევაშიდათავისათავადდაასუსტე ბდა დასავლეთს. შესაძლებელი იყო ვითარება განვითარებულიყორეგიონულიდომინოსეფექტიტ, აღნიშნულისაშიშროება და საფრთხეები, გახდა საფუძველი აშშ-სგადაწყვეტილებისმიღებისპროცესს.ტრუმენისსიტყვებით, ამერიკისპოლიტიკამიმართულიიყოიმთავისუფალიხალხისმხარდასაჭერად, რომლებიცეწინააღმდეგებოდნენშეიარაღებულუმცირესობებსანმათმიერგარედანგანხ ორციელებულზეწოლას, რომელიცმათიდამორჩილებისკენიყომიმართული. ტრუმენიგანმარტავდა, რომესპოლიტიკურირეჟიმები, რომლებიცზეწოლასახდენდნენთავისუფალხალხებზე,წარმოადგენდნენსაფრთხესსაე რთაშორისომშვიდობისთვისდაუსაფრთხოებისთვის. მარშალის გეგმამ ხელი შეუწყო

თურქეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო ალიანსის დაფუძვნებით და მასში თურქეთის გაწევრიანებით, კისახელმწიფოს გადარჩენას და უსაფრთხოებას.აშშ-სადათურქეთსშორისსტრატეგიულითანამშრომლობადღესაცგრძელდება, თუმცა მათ შორის ჰარმონიული დამოკიდებულებადროდადრო იცვლებოდა. ურთიერთობების დამაბვას ძირითადად ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები განაპირობებდა, სადაც თურქეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესების კარნახით ცდილობდა მოქმედებას, რაც აშშ-ს ინტერესების გაუთვალისწინებლობაშიც გამოიხატა და ურთიერთობები გამწვავდა. ერაყის ტერიტორიაზე თურქეთის სურვილს შეეყვანა სამხედროები, რათა არდაეშვა ქურთული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მხარი არდაუჭირეს აშშ-მ და ნატოს წევრმა სხვა სახელმწიფოებმა. ურთიერთობების გამწვავება კიდევ ერთხელ მოხდა სირიის კონფლიქტში, სადაც კვლავ ქურთების საკითხი გახდა დაპირისპირების მიზეზი, ამას დაემატა სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რაშიც თურქეთი აშშ-ს ადანაშაულებდა. ორ ქვეყანას შორის დაიწყო ეკონომიკური ომი, აშშ სანქციების რეჟიმში გადავიდა, ლიდერებმა გაცვალეს საკმაოდ მწვავე განცხადებები. ერაყის მოვლენებთან დაკავშირებულ და მას შემდეგ განვითარებული რეალობისფონზე ანალიტიკოსები ორი მოკავშირე ქვეყნის ურთიერთობებში გამოუსწორებელ ზარალზე საუბრობდნენ. თუმცა თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა და გეოპოლიტიკური სივრცე იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც ამერიკისთვის, ისე ნატოსთვის, ნაკლებად სავარაუდოა უთანხმოება გამოუსწორებელი იყოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას ნაშრომში დადასტურდა ჰიპოთეზა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია აშშ-თურქეთის პოლიტიკური პარტნიორობისთვის და ასევე, შავი ზღვის რეგიონის საერთო უსაფრთხოების განზომილებიდან. თურქეთი დიდწილად აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს და აბალანსებს რუსეთს კავკასიაში. ბოსფორის გავლით ყოველდღიურად 1.2 მლნ ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება. აშშ-ს და ირანის ბოლოდროინდელი

ურთიერთობების გათვალისწინებით, თურქეთის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თურქეთსაც გააჩნია საკუთარი ინტერესები აშშ-თან მიმართებაში. მისთვის პრიორიტეტულია სტრატეგიულ პარტნიორობისა და ნატოს ფარგლებში არსებული პროექტები. მხედველობაში მაქ ეკონომიკური პროექტების, სამხედრო შენაერთების გაძლიერება, აშშ-ს სამხედრო ბაზების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ს შუამავლის როლი ევროკავშირთან, რომ მოხდეს მისი ინტეგრაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტომი პირველი თბილის, 2018
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, ტომი მეორე, თბილის, 2019
3. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008
4. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია. თბილისი, 2011.
5. მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში. თბილისი, 2019.
6. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია. თბილისი,2007.
7. Findely, 2010 – Findely, C. V., Tureky, Islam, Nationalism, and Modernity. Yale University Press;
8. Taylor, A. (2016, 07 19). washingtonpost.com. Retrieved from https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2016/07/19/turkeys-increasingly-complicated-relationship-with-nato/?utm_term=.1a4720501320
9. Vernile, A. (2016, 10 20). com. Retrieved from http://mediterraneanaffairs.com/post-coup-turkey-nato-relations/
10. nytimes.com. (2016, 12 20). Retrieved from http://www.nytimes.com/2016/12/20/opinion/russia-turkey-and-an-assassination.html?_r=2
11. Иванова И.И. Ислам в политической жизни Турции ( 1950 – 1980)// Зарубежный Восток:


## გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

12. The US-Turkish-NATO Middle East Connection. https://www.palgrave.com/gp/book/9780333498927

13. The future of U.S.-Turkey relations https://www.cfr.org/report/future-u.s.-turkey

14. The U.S.-Turkey Relationship Is Worse Off Than You Think https://foreignpolicy.com/2018/09/11/the-u-s-turkey-relationship-is-worse-off-than-you-think/

15. U.S. relation with Turkey https://www.state.gov/u-s-relations-with-turkey/

13. კობა გვენეტაძე თურქეთის ეკონომიკური კრიზისის საქართველოზე შესაძლო გავლენას განმარტავს. **https://imedinews.ge/ge/ekonomika/79924/koba-gvenetadze-turqetis-ekonomikuri-krizisis-saqartveloze-shesadzlo-gavlenas-ganmartavs**

14.თურქეთი-ამერიკის კრიზისი და საქართველო. http://tv25.ge/news.php?lang=ge&id=5633

15. თურქ ე თ-ა მ ე რი კ ი ს კ რი ზი ს ი : გ ა მ ოწ ვ ე ვ ა თუ შ ა ნ ს ი ს ა ქ ა რთვ ე ლოს თვ ი ს http://www.ghn.ge/news/197659

16. ევროპარლამენტარებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში შექმნილი კრიზისის გამო. **https://www.radiotavisupleba.ge/a/30295634.html**

17. რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში "ახლო საზღვარგარეთსა" და "შიდა საზღვარგარეთს" შორის. https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-da-shida-sazgvargarets-shoris

18. **How America's relationship with Turkey fell apart** https://www.vox.com/world/2019/4/11/18292070/usa-turkey-trump-erdogan-s400

19. **The Dangerous Unraveling of the U.S.-Turkish Alliance** https://www.foreignaffairs.com/articles/turkey/2020-01-10/dangerous-unraveling-us-turkish-alliance

20. U.S.-Turkey Relations. **https://www.tc-america.org/issues-information/us-turkey-relations-27.htm.**